

**თერაპიული სტომატოლოგია**  
**გამოკვლევის მეთოდები თერაპიულ**  
**სტომატოლოგიაში**

1. კბილების დათვალიერებს ვიწყებთ შემდეგი თანმიმდევრობით

- ა ) ზედა ყბის კბილებიდან მარჯვნიდან მარცხნივ და შემდეგ გადავდივართ ქვედა ყბის კბილების დათვალიერებაზე მარჯვნიდან მარცხნივ
- ბ ) ქვედა ყბის კბილებიდან მარჯვნიდან მარცხნივ და შემდეგ გადავდივართ ზედა ყბის კბილების დათვალიერებაზე მარცხნიდან მარჯვნივ
- \*გ) ზედა ყბის კბილებიდან მარჯვნიდან მარცხნივ და შემდეგ გადავდივართ ქვედა ყბის კბილების დათვალიერებაზე მარცხნიდან მარჯვნივ

2. ვერტიკალური პერკუსია მტკივნეულია:

- \*ა) მწვავე პერიოდონტიტის დროს
- ბ ) მწვავე კეროვანი პულპიტის დროს
- გ ) ქრონიკული ფიბროზული პულპიტის დროს

3. რენტგენოლოგიური გამოკვლევა ინფორმატიულია:

- ა ) დიფერენციული დიაგნოზის ჩატარებისას ღრმა კარიესსა და საშუალო კარიესს შორის
- \*ბ) დიფერენციული დიაგნოზის ჩატარებისას საშუალო კარიესსა და ქრონიკულ პერიოდონტიტს შორის
- გ ) დიფერენციული დიაგნოზის ჩატარებისას მწვავე ლოკალურ პულპიტსა და მწვავე დიფუზურ პულპიტს შორის

4. რა დადებით ძვრებს იწვევს სეკრეტორული იმუნოგლობულინი (SIGA) პირის ღრუში?

- ა ) იწვევს ფერმენტ ჰიალურონიდაზას სინთეზის ბლოკირებას;
- ბ ) იწვევს ფერმენტ კოლაგენაზას სინთეზის ბლოკირებას;
- \*გ) გამძლე პროტეოლიზური ფერმენტების მოქმედებისადმი;
- დ ) იწვევს ფერმენტ გლუკოზილტრანსფერაზას მოქმედების ბლოკირებას.

5. მოზრდილი ადამიანის გულის შეკუმშვათა ნორმალური სიხშირეა:

- ა ) 40-80 დარტყმა წუთში;
- \*ბ) 60-100 დარტყმა წუთში;
- გ ) 80-120 დარტყმა წუთში;
- დ ) 90-130 დარტყმა წუთში;

6. პაციენტის მაჯისცემის დათვლის დროს ჯობია არ ისარგებლოთ ცერა თითით. ამის ძირითადი მიზეზია:

- ა ) თითის ძალზე დიდი ზედაპირი;
- ბ ) კანის გარქოვანების მაღალი ხარისხი;
- \*გ) თითის ქსოვილებში გადის საკუთარი არტერია, რამაც შეიძლება შეცდომამი შეგვიყვანოს;

დ ) თითის ქსოვილებში არ არის პულსირებადი არტერია;

7. მოზრდილი ადამიანის სუნთქვის სიხშირე წუთში:

- ა ) 10-14;
- \*ბ) 14-20;
- გ ) 16-24;
- დ ) 24-28;

8. დიდი რაოდენობით სალიცილატების რეგულარული მიღება წარმოადგენს სტომატოლოგიური, განსაკუთრებით კი ქირურგიული მანიპულირების ჩატარებისას მნიშვნელოვან რისკს.

მიუთითეთ მიზეზები:

- ა ) ალერგიული გამოვლინებები;
- \*ბ) სისხლდენისადმი მიდრეკილება;
- გ ) მკურნალობის დაწყებამდე შიშის გრძობა;
- დ ) დაბალი არტერიული წნევა;

9. პაციენტის გამოკვლევისას აუცილებელია შემდეგი ადგილების

- ბიძანუალური პალპაცია
- ა ) პირის ღრუს კარიბჭე;
- ბ ) ტუჩის კონტურები;
- გ ) ენის ლაგამი;
- \*დ) პირის ღრუს ფსკერი.

10. დამნაშავე კბილის ელექტროდონტოდიავნოსტიკის ჩატარებისას მიზანშეწონილია გაზომვის ჩატარების დაწყება:

- ა ) უშუალოდ დამნაშავე კბილიდან;
- ბ ) ანტაგონისტიდან;
- \*გ) იმავე ყბის საწინააღმდეგო მხარის იმავე კბილიდან;
- დ ) ნებისმიერი სხვა კბილიდან.

11. რენტგენოლოგიურ დანადგარებთან მომუშავე პერსონალის დასახელების მაქსიმალურად დასაშვები დოზა არ უნდა აღემატებოდეს:

- ა ) 4 ბერ წელიწადში;
- \*ბ) 5 ბერ წელიწადში;
- გ ) 6 ბერ წელიწადში;
- დ ) 20 ბერ წელიწადში.

12. სუნთქვის სისხირის გაზრდას ეწოდება:

- ა ) აპნოე;
- ბ ) დისპნოე;
- გ ) პიპერანოე;
- \*დ) ტაქიპნოე.

13. ჩამოთვლილი მდგომარეობიდან ტრაქეოსტომიის ჩვენებაა:

- ა ) ბულბარული პოლიომიელიტი;
- \*ბ) სორხის შეშუპება;
- გ ) კისრის ტრავმული გადაკვეთის დროს პროფილაქტიკური ტრაქეოსტომია;
- დ ) თავის ქალის ტრავმები;

14. გულის გაჩერების ძირითადი მაჩვენებლებია:

- ა ) კრუნჩხვა;
- \*ბ) საძილე არტერიაზე პულსის არარსებობა;
- გ ) დამოუკიდებელი სუნთქვის შეუძლებლობა;
- დ ) ვიწრო გუგა;

15. მოზრდილებისათვის გულის არაპირდაპირი მასაჟის დროს ხელის გულში უნდა იმყოფებოდეს:

- ა ) მკერდის ძვლის ზემო მესამედში;
- ბ ) მკერდის ძვლის შუა და ქვედა მესამედის საზღვარზე;
- \*გ) მესუთე და მეექვსე ნეკნთაშორის მონაკვეთზე მარცხნივ;
- დ ) მესუთე ნეკნთაშორის მონაკვეთზე მარჯვნივ.

16. გულის გარე მასაჟის ეფექტურობაზე მეტყველებს:

- ა ) გუგების შევიწროება;
- ბ ) საძილე არტერიაზე პულსის გაჩენა;

გ ) კანის ციანოზის შემცირება;  
\*დ) ცალკეული სპონტანური ჩასუნთქვის გაჩენა;

17. კლინიკური სიკვდილის დიაგნოზის დასმის შემდეგ ექიმის ტაქტიკა:

- ა ) გამოცდილი ექიმის გამოძახება;
- ბ ) სარეანიმაციო ბრიგადის გამოძახება;
- გ ) ნატრიუმის ჰიდროკარბონატის ვენაში შეყვანა;

\*დ) გულის კუნთში ადრენალინის ჰიდროქლორიდის შეყვანა.

18. ჩატარებული სარეანიმაციო ღონისძიებების ეფექტურობის მაჩვენებელია:

- ა ) გუგების შევიწროვება;
- ბ ) სისტოლური არტერიული წნევა 30 მმ ვწყ. სვ;

გ ) სისტოლური არტერიული წნევა 70 მმ ვწყ. სვ;

\*დ) საკუთარი ჩასუნთქვის ნიშნები;

19. კლინიკური სიკვდილის შემდეგ აღდგენილია გონება, საკუთარი სუნთქვა და გულის მოქმედება. ავადმყოფი საჭიროებს:

- ა ) დატოვებული იქნას პოლიკლინიკაში;
- ბ ) გაშვებული იქნას სახლში;
- გ ) ჰოსპიტალიზებულ იქნას საავადმყოფოს სომატურ განყოფილებაში;

\*დ) ჰოსპიტალიზებულ იქნას რეანიმაციის განყოფილებაში;

20. ნორმაში პულსის ელექტროაგზნებადობა ტოლია:

- \*ა) 2-დან 6 მკა;
- ბ ) 0-დან 150 მკა;
- გ ) 10-დან 50 მკა;
- დ ) 50-დან 100 მკა.

21. არაფორმირებულ კბილში პულსა პასუხობს დენის ძალის შემდეგ სიდიდეებზე:

- ა ) 2-3 მკა;
- ბ ) 15-20 მკა;
- \*გ) 40-60 მკა;
- დ ) 80-90 მკა.

### სტერილიზაცია

22. ასეპტიკის მიზნით მნიშვნელოვანია:

\*ა) ტემპერატურული პირობების შექმნა - 100 გრადუსი;

- ბ ) ქიმიური აგენტის ბუნების ცოდნა;
- გ ) მიკროორგანიზმების ბუნების ცოდნა;
- დ ) ქიმიურ აგენტსა და მიკროორგანიზმის ურთიერთქმედებაზე მოქმედი ფაქტორების ცოდნა.

23. ინსტრუმენტების ყველაზე საიმედო სტერილიზაციას, მიუხედავად მრავალი სიხალისა, წარმოადგენს:

- \*ა) ავტოკლავირება;
- ბ ) დუღილი;
- გ ) ქიმიური სტერილიზაცია;
- დ ) ღებინა დეტერგენტებით.

24. ინსტრუმენტების ავტოკლავირების ძირითადი ნაკლოვანებაა:

- ა ) არ ანადგურებს სპორებს;
- ბ ) ინსტრუმენტების არასაკმარისი გასუფთავება;
- \*გ) ბასრი ინსტრუმენტების დაზიანება;
- დ ) დროის ხარჯვა.

25. მიკროორგანიზმების გამრავლების ყველაზე ხელსაყრელი ტემპერატურაა:

- ა ) 34,4 გრადუსი;

ბ ) 34,5 გრადუსი;

\*გ) 37,7 გრადუსი;

დ ) 38,2 გრადუსი.

26. ქვემოთ ჩამოთვლილი მიკროორგანიზმებიდან სპორებს წარმოქმნიან

- \*ა) ბაცილები;
- ბ ) კოკები;
- გ ) ვიბრიონები;
- დ ) სპიროქეტები.

27. ბაქტერიების მოძრაობის განსასხორციელებლად მნიშვნელოვანია:

- \*ა) თხევადი არე;
- ბ ) მშრალი ზედაპირი;
- გ ) სხეულის ტემპერატურა;
- დ ) ჟანგბადის არე.

28. რა მტკიცებაა მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი ბაქტერიული კაფსულის მიმართ:

- ა ) ის მნიშვნელოვანია ბაქტერიების გადასარჩენად;
- ბ ) ის იცავს ბაქტერიებს ფაგოციტოზისაგან;
- \*გ) ყველა ჩამოთვლილი სწორია.

29. ბაქტერიებს, რომელთა ზრდის პროცესისათვის აუცილებელია ჟანგბადი, ეწოდებათ:

- ა ) ანაერობები;
- \*ბ) ობლიგატური აერობები;
- გ ) ფაკულტატური ანაერობები;
- დ ) ფაკულტატური აერობები.

30. მიკროორგანიზმების კულტივირებისათვის მყარი არე შექმნა:

- ა ) პასტერმა;
- ბ ) ივანოვსკიმ;
- \*გ) კოხმა;
- დ ) ჯენერმა.

31. რომელი მტკიცებაა სწორი:

- ა ) ყველა ბაქტერია ზრდისათვის საჭიროებს ჟანგბადს;
- ბ ) მხოლოდ ვეგეტირებად ორგანიზმებს შეუძლიათ ზრდა ნახშირორჟანგის გარეშე, თუმცა ისინი საჭიროებენ ჟანგბადს;
- \*გ) ყველა ცოცხალი მცენარე და ცხოველი მოიხმარს ჟანგბადს და გამოყოფს ნახშირორჟანგს;

დ ) არც ნახშირორჟანგი და არც ჟანგბადი არ თამაშობს დიდ როლს პეტეროტროფული ორგანიზმების მეტაბოლიზმში.

32. მიკროორგანიზმები, რომლებიც ვერ ცოცხლობენ ჟანგბადის გარეშე:

- ა ) მკაცრი აერობები;
- \*ბ) მკაცრი ანაერობები;
- გ ) ფაკულტატური აერობები;
- დ ) ფაკულტატური ანაერობები.

33. მიკროორგანიზმების სრული მოსპობა მიიღწევა:

- ა ) ანტისეპტიკით;
- \*ბ) ასეპტიკით;
- გ ) ბაქტერიოსტატიკით;
- დ ) ღებინა დეტერგენტით.

34. ტუმბერკულიზმით დანიშნულია შესაძლებელია:

- ა ) ინფიცირებულ ადამიანებთან კონტაქტით;
- ბ ) დაავადებულის დაცემის დროს;
- გ ) ინფიცირებულ ინსტრუმენტებთან კონტაქტით;

\*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწორია.

35. ფაკულტატიური ანაერობები:

- ა ) საჭიროებენ მხოლოდ სუფთა ჟანგბადს;
- ბ ) არ საჭიროებენ სუფთა ჟანგბადს;

\*გ) ამჟობინებენ უჟანგბადობას, მაგრამ შეუძლიათ არსებობა სუფთა ჟანგბადის არეშიც;

დ ) ამჟობინებენ სუფთა ჟანგბადს, მაგრამ შეუძლიათ უიმისოდაც.

36. ბაქტერიებით ინფიცირებისაგან

ყველაზე საიმედო თავდაცვა მიიღწევა:

ა ) გაყინვის;

\*ბ) სტერილიზაციის;

გ ) დეზინფექციის;

დ ) გამსხნელში გახსნის გზით.

37. 100 გრადუსზე დუღილის მიმართ 10

წუთის განმავლობაში ყველაზე

მდგრადია:

ა ) ტუბერკულოზის ბაცილები;

ბ ) შიდსის ვირუსი;

\*გ) ჰეპატიტის ვირუსი;

დ ) გონოკოკი.

38. ჩირქოვანი გამონადენი არ შეიცავს:

ა ) ლეიკოციტებს;

ბ ) ბაქტერიებს;

\*გ) პოლისაქარიდებს;

დ ) ლიმფას.

39. ყველაზე პირველი ბარიერი, რომელიც

იცავს ადამიანის სხეულს ინფექციისაგან,

არის:

ა ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტი;

\*ბ) კანი;

გ ) ლიმფური სისტემა;

დ ) ანტისხეულები.

40. ვირუსული ჰეპატიტის მატარებელს

შეიძლება ვირუსი აღმოაჩინდეს:

ა ) განავალში;

ბ ) სისხლში;

\*გ) ნერწყვში და სისხლში;

დ ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილში.

41. რას გულისხმობს სტერილიზაციის

ერთ-ერთი ეტაპი დეზინფექცია:

\*ა) მედ.პერსონალის დაინფიცირების

პროფილაქტიკა

ბ ) ნახშირი ინსტრუმენტების დამუშავება

მინის ბურთულიან სტერილიზატორში

გ ) სტომატოლოგიური ინსტრუმენტების

მოთავსება სარეცხ სხნარში

42. ჰეპატიტის ვირუსით დაინფიცირებული

ინსტრუმენტების დეზინფექცია წარმოებს:

ა ) 1%-იანი ქლორამინით 30 წთ-ის

განმავლობაში

\*ბ) 3%-იანი ქლორამინით 60 წთ-ის

განმავლობაში

გ ) 3%-იანი ქლორამინით 45 წთ-ის

განმავლობაში

43. ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის

მიღების შემდეგ, სტომატოლოგიური

ინსტრუმენტები დეზინფექციის მიზნით

მუშავდება:

\*ა) 5%-იანი ქლორამინით 240 წთ-ის

განმავლობაში

ბ ) 5%-იანი ქლორამინით 120 წთ-ის

განმავლობაში

გ ) 3%-იანი ქლორამინით 160 წთ-ის

განმავლობაში

44. ლიზოფორმინის 2%-იან სხნარში

ინსტრუმენტების დეზინფექციისათვის საჭირო

დრო:

\*ა) 15 წთ

ბ ) 30 წთ

გ ) 25 წთ

დ ) 40 წთ

45. მეტალისა და მინის ინსტრუმენტების

სტერილიზაციის რეჟიმი მშრალ

სტერილიზატორში:

ა ) 180 გრადუსი 20 წთ

\*ბ) 180 გრადუსი 60 წთ

გ ) 120 გრადუსი 60 წთ

დ ) 120 გრადუსი 30 წთ

46. გასტერილებული შესახვევი მასალა (თუ

ბიქსი არ გახსნილა) სტერილობას ინარჩუნებს:

\*ა) 3 დღე (72 სთ)

ბ ) 1 კვირა

გ ) 1 დღე

47. სტერილური მასალა ბიქსის გახსნის შემდეგ

შეიძლება გამოვიყენოთ:

\*ა) ერთი დღის განმავლობაში

ბ ) 48 საათი

გ ) 72 საათი

48. ინსტრუმენტის სტერილიზაციის (სისხლისა და

სარეცხი სხნარის ნარჩენები) ეფექტურობა

მოწმდება:

ა ) ბენზიდინის სინჯით

ბ ) ამილიპირინის სინჯით

გ ) ფენოფთალეინის სინჯით

\*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილით

49. სტერილიზაციის ეტაპების

თანმიმდევრობაა:

ა ) წინასასტერილიზაციო დამუშავება,

დეზინფექცია, სტერილიზაცია

\*ბ) დეზინფექცია, წინასასტერილიზაციო

დამუშავება, სტერილიზაცია

გ ) წინასასტერილიზაციო დამუშავება,

სტერილიზაცია, დეზინფექცია

50. ჩირქით დაინფიცირებული ინსტრუმენტების

დეზინფექცია წარმოებს:

ა ) ქლორამინის 5%-იანი სხნარით 15 წთ-ის

განმავლობაში

ბ ) ქლორამინის 0,5%-იანი სხნარით 45 წთ-ის

განმავლობაში

გ ) ქლორამინის 3%-იანი სხნარით 60 წთ-ის

განმავლობაში

\*დ) ქლორამინის 1%-იანი სხნარით 30 წთ-ის

განმავლობაში

51. ქვემოთ ჩამოთვლილი ანტიეპტიკური

სხნარებიდან რომელი გამოიყენება როგორც

დეზინფექციის, ასევე სტერილიზაციის მიზნით:

ა ) ლიზოფორმინი

ბ ) ქლორამინი

\*გ) კოლდსპორი

52. 100 გრადუს ჩ-ზე დუღილის მიმართ 10 წთ-ის

განმავლობაში ყველაზე მდგრადია:

ა ) ტუბერკულოზის ბაცილები

\*ბ) ჰეპატიტის ვირუსი

გ ) გონოკოკი

53. ქიმიური სტერილიზაციის გამოყენებისას,

დეზინფექციის და სტერილიზაციის შემდეგ,

ინსტრუმენტები უნდა მოთავსდეს:

ა ) მშრალ ჭურჭელში

- ბ) წელიწადში  
 \*გ) გამდინარე წყალში
54. კოლდსპორის ხსნარის გამოიყენება:  
 ა) სტერილიზაციის მიზნით  
 ბ) დეზინფექციის მიზნით  
 \*გ) სტერილიზაციისა და დეზინფექციისათვის
55. სტომატოლოგიური ინსტრუმენტთა დეზინფექციისათვის გამოიყენება კოლდსპორის:  
 ა) 5%-იანი ხსნარი  
 \*ბ) 10%-იანი ხსნარი  
 გ) 20%-იანი ხსნარი
56. სტომატოლოგიური ინსტრუმენტთა სტერილიზაციისთვის გამოიყენება კოლდსპორის:  
 ა) 5%-იანი ხსნარი  
 ბ) 10%-იანი ხსნარი  
 გ) 15%-იანი ხსნარი  
 \*დ) 20%-იანი ხსნარი
57. ბაქტერიული, ვირუსული და სოკოვანი ეთიოლოგიის ინფექციათა შემთხვევაში დეზინფექციის მიზნით კოლდსპორის 10%-იან ხსნარში ინსტრუმენტების ექსპოზიციის დრო შეადგენს:  
 \*ა) 10 წუთს  
 ბ) 20 წუთს  
 გ) 1 საათს  
 დ) 2 საათს
58. ბაქტერიული, ვირუსული და სოკოვანი ეთიოლოგიის ინფექციათა შემთხვევაში სტერილიზაციის მიზნით კოლდსპორის 20%-იან ხსნარში ინსტრუმენტების ექსპოზიციის დრო შეადგენს:  
 ა) 1 საათს  
 ბ) 2 საათს  
 \*გ) 9 საათს  
 დ) 24 საათს
59. დეზინფექციისა და სტერილიზაციის მიზნით კოლდსპორის ხსნარის გამოიყენება შესაძლებელია:  
 ა) ერთჯერადად  
 ბ) მრავალჯერადად მისი დამზადების მომენტიდან 14 დღის განმავლობაში  
 \*გ) მრავალჯერადად მისი დამზადების მომენტიდან 24 საათის განმავლობაში
60. ჩირქოვანი იარაღების დეზინფექცია წარმოებს ქლორამინის:  
 ა) 0,2%-იანი ხსნარით  
 ბ) 0,5%-იანი ხსნარით  
 \*გ) 1%-იანი ხსნარით  
 დ) 3%-იანი ხსნარით  
 ე) 5%-იანი ხსნარით
61. პეპატივის ვირუსით დაინფიცირებული ინსტრუმენტების დეზინფექცია წარმოებს ქლორამინის  
 ა) 0,5%-იანი ხსნარით  
 ბ) 1%-იანი ხსნარით  
 \*გ) 3%-იანი ხსნარით  
 დ) 5%-იანი ხსნარით
62. ტუბერკულოზით დაინფიცირებული ინსტრუმენტების დეზინფექცია წარმოებს ქლორამინის:  
 ა) 0,5%-იანი ხსნარით  
 ბ) 1%-იანი ხსნარით  
 გ) 3%-იანი ხსნარით  
 \*დ) 5%-იანი ხსნარით
63. ბუნიკებისა და ბორების გაწმენდა

- წარმოებს ქლორამინის  
 ა) 0,2%-იანი ხსნარით  
 ბ) 0,5%-იანი ხსნარით  
 \*გ) 1%-იანი ხსნარით
64. თერაპიულ განყოფილებაში ხელის დამუშავება ხდება ქლორამინის;  
 \*ა) 0,2%-იანი ხსნარით  
 ბ) 0,5%-იანი ხსნარით  
 გ) 1%-იანი ხსნარით
- გაუტკივარება თერაპიულ სტომატოლოგიაში**
65. ნარკოზის ქვეშ სტომატოლოგიური ჩარევისათვის პაციენტის მომზადებისას აუცილებელია:  
 ა) სტომატოლოგიური დაავადების დიაგნოსტიკა და ჩარევის მოცულობის განსაზღვრა;  
 ბ) ნარკოზის ჩატარების ჩვენებების განსაზღვრა;  
 გ) პაციენტის გამოკვლევა;  
 \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთად.
66. ადგილობრივი ანესთეზიის ჩატარების უკუჩვენებაა:  
 ა) მკვეთრად გამოხატული ემოციურობა, ნევროზული რეაქცია;  
 ბ) ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადება;  
 გ) ალერგია;  
 \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ერთად.
67. არტერიული წნევა ამკარად გამოხატულ სისხლძარღვთა კოლაფსის დროს:  
 \*ა) ეცემა;  
 ბ) რჩება უცვლელი;  
 გ) იკლებს, შემდეგ იმატებს;  
 დ) ვარირებს (ცვალებადა);
68. ულტრაკაინის ახასიათებს შემდეგი თვისებები:  
 ა) ანტიჰისტამინური;  
 \*ბ) ადგილობრივი ანესთეზიის;  
 გ) ქაილის საწინააღმდეგო;  
 დ) შოკის საწინააღმდეგო.
69. ინფილტრაციული ანესთეზია ყველაზე ეფექტურია:  
 \*ა) ზედა პრემოლარებისთვის;  
 ბ) ზედა მოლარებისთვის;  
 გ) ქვედა პირველი მოლარისთვის;  
 დ) შოკის საწინააღმდეგო.
70. ინფილტრაციული ანესთეზია ყველაზე არაეფექტურია:  
 ა) ზედა მოლარებისთვის;  
 ბ) ზედა პრემოლარებისთვის;  
 \*გ) ქვედა პირველი მოლარისთვის;
71. შოკის პირველი ნიშანია:  
 ა) ცენტრალური ვენური წნევის დაქვეითება;  
 ბ) გულიდან გადადევნილი სისხლის მოცულობის დაქვეითება;  
 \*გ) არტერიული წნევის დაცემა;  
 დ) არტერიული წნევის აწევა.
72. თერაპიული სტომატოლოგიის კლინიკაში ჩასატარებელი მანიპულაციების დროს პრემედიაკაციის ჩვენებებია:  
 ა) სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადება;  
 ბ) სასუნთქი ორგანოების დაავადება;  
 \*გ) სტომატოლოგიური ჩარევის წინ

გამოხატული შიში;

დ) სტომატოლოგიური ჩარევის მასშტაბი;

**კარიესი და საბუნი მასალები**

73. ქვემოთ ჩამოთვლილი რომელი ფაქტორი

ამცირებს კარიესისადმი ორგანიზმის

რეზისტენტობის დონეს

ა) კბილის ნადებები;

ბ) საკვების ნახშირწყლები;

გ) სასმელ წყალში ფტორის ნაკლებობა;

\*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

74. დაწყებითი კარიესის დროს, მინანქარში

მიმდინარე ძირითადი პროცესებია:

ა) მინანქარში ცილოვანი მატრიცის დარღვევა;

\*ბ) დემინერალიზაცია დეკალცინაციით;

გ) მინანქრის რემინერალიზაცია;

დ) მინანქრის ცილოვან და მინერალურ

კომპონენტებს შორის კავშირის დარღვევა;

75. ლაქოვანი კარიესისა და მინანქრის

ჰიპოპლაზიის დიფერენციალური

დიაგნოსტიკისათვის გადამწყვეტი

მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ ფაქტორებს:

\*ა) პროცესის პროგრესირება, რომელიც

გამოხატულია კარიესის დროს, ხოლო არ აქვს

ადგილი მინანქრის ჰიპოპლაზიისას;

ბ) პროცესის ლოკალიზაცია;

გ) ლაქის ზედაპირის კონსისტენცია;

დ) დაზიანების სისტემურობა.

76. დაწყებითი კარიესის თერაპიაში

ძირითადია:

ა) ჰიგიენური და დიეტური რეჟიმი;

ბ) ფტორის პრეპარატების ადგილობრივი

გამოყენება;

გ) ზოგადი გამაჯანსაღებელი ღონისძიებები;

\*დ) სამინერალიზაციო ხსნარები

(რემთერაპია).

77. კბილის მინანქარზე ნახშირწყლების

მოქმედების რეგულირება შესაძლებელია:

ა) საკვების ნახშირწყლების რაოდენობის

შეზღუდვით;

ბ) რაციონალური კვების მკაცრი დაცვით;

გ) პირის ღრუს ჰიგიენით;

\*დ) სწორია ყველა ჩამოთვლილი.

78. ჩამოთვლილიდან კარიესისადმი

რეზისტენტობას ზრდის:

ა) რაციონალური ჰიგიენური რეჟიმი;

ბ) ორგანიზმის საერთო რეზისტენტულობის

ზრდა, ვიტამინური და ზოგადგამაჯანსაღებელი

პრეპარატების მიღება, რაციონალური დიეტა;

გ) მინანქრის ადგილობრივი ფლუორიზაცია;

\*დ) სწორია ყველა ჩამოთვლილი ღონისძიება.

79. მიკროორგანიზმის რომელი სახეობის მიერ

ხდება წყალში ხსნადი გლუკანის

წარმოქმნა, რაც განაპირობებს კბილის

მინანქარზე მიკრობების ადჰეზიას.

ა) S. aureus;

ბ) S. pyrogenes;

\*გ) S. mutans;

დ) M. tuberculosis.

80. ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებებიდან,

კარიესის დროს მინანქრის რემინერალიზაციას

ყველაზე ეფექტურად ახორციელებს:

ა) მოლიბდენი, ვანადიუმი, სელენი, სპილენძი,

ფოსფატი, კალციუმი;

ბ) ვიტამინები;

\*გ) ფტორი, კალციუმი;

დ) პორმონები.

81. ადგილობრივი ფლუორიზაციის ეფექტი

დამყარებულია:

\*ა) რემინერალიზაციის პროცესების

აქტიურობაზე, მინანქრის ხსნადობის და

განვლადობის შემცირებაზე, ფტორაპატივების

წარმოქმნაზე;

ბ) კბილის ტროფიკის გაუმჯობესებაზე;

გ) ფტორის ბაქტერიციდულ მოქმედებაზე;

დ) კბილის ნადების PH-ის ცვლილებაზე.

82. ღრმა კარიესის სადიაგნოსტიკო ნიშნებია:

ა) ქიმიური გამლიზიანებლებით გამოწვეული

ტკივილები; დეფექტი მოთავსებულია დენტინის

ღრმა ფენებში; მტკივნეული ზონდირება კედელზე;

ბ) პირის ღრუში საჭმლის მოხვედრით

გამოწვეული ტკივილი; დენტინის შუა ფენებში

არსებული დეფექტი; ზონდირება მტკივნეულია

მინანქრისა და დენტინის საზღვრის არეში;

\*გ) მიზეზობრივი ხასიათის ტკივილები თერმულ,

მექანიკურ და ქიმიურ

გამალიზიანებლებზე, რომელიც მიზეზის მოხსნის

შემდეგ ქრება. ღრუ ლოკალიზებულია დენტინის

ღრმა ფენებში; ზონდირება მტკივნეულია მთელი

ფსკერის გასწვრივ;

დ) თერმული გამლიზიანებლებით გამოწვეული

ტკივილი; გამლიზიანებლის მოცილების შემდეგაც

დიდხანს რჩება ტკივილის შეგრძნება; ღრუ

დენტინის ღრმა ფენებშია; ზონდირება

მტკივნეულია ერთ წერტილში.

83. ღრმა კარიესის დროს რაციონალურია

შემდეგი საჩუქრები:

ა) ანტიმიკრობული მოქმედების;

ბ) კორტიკოიდების საფუძველზე დამზადებული;

\*გ) ოდონტოტროპული;

დ) ინდიფერენტული.

84. პრეპარატები, რომლებსაც ოდონტოტროპული

თვისებები გააჩნიათ:

ა) სულფანამიდები;

\*ბ) კალციუმის ჰიდროქანიდი;

გ) ანტიბიოტიკები და ანტისეპტიკები;

დ) კორტიკოსტეროიდები;

85. შესაძლებელია თუ არა სამკურნალო

საჩუქრის სახით ღრმა კარიესის დროს

კორტიკოსტეროიდზე დამზადებული პასტების

გამოყენება:

ა) დიახ, ამით პულპაში მცირდება ანთებითი

პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს ღრმა

კარიესის დროს;

\*ბ) არა, რადგანაც ისინი თრეუნანვენ

ოდონტოგენეზის პროცესს;

გ) არა, ეს ხელს უწყობს დისბაქტერიოზს, რითაც

ასტიმულირებს კარიესული ღრუს ფლორის ზრდას;

დ) არა, ისინი აღიზიანებენ შემაერთებულ

ქსოვილს.

86. ღრმა კარიესის დროს კალციუმის

ჰიდროქანიდის გამოყენება დამყარებულია?

ა) ანტიბაქტერიულ ეფექტზე;

\*ბ) ოდონტოტროპულ და ანთების საწინააღმდეგო

მოქმედებაზე;

გ) ბაქტერიული ენზიმების დათრეუნვის

თვისებაზე;

დ) დენსიბილიზაციის ეფექტზე.

87. ბლესის მიერ შემუშავებული

კარიესული ღრუს კლასიფიკაციას

საფუძვლად უდევს:

ა) კარიესული ღრუს დამუშავების სისტემატიზაცია;  
ბ) ის წარმოდგენა, რომ კარიესი ჩნდება ზედაპირზე, სადაც ხდება საკვების ნარჩენებისა და ნადებების რეტენცია;  
\*გ) აზრი იმის შესახებ, რომ კარიესი შეიძლება წარმოიქმნას კბილის ყველა ზედაპირზე;  
დ) ბუენის ფიქსირების პირობების უზრუნველყოფა.

88. კარიესული ღრუს ფორმირების ძირითადი პირობები, რომლებიც მიმართულია კარიესის რეციდივის თავიდან აცილებისაკენ:

ა) დამატებითი მოვლების და რეტენციული პუნქტების შექმნა;  
ბ) კიდური მინანქრის მოხსნა;  
\*გ) კარიესული ღრუს პრეპარირების ყველა ეტაპის ვათვალისწინება;  
დ) ღრუს ყუთისებრი ფორმა;

89. დაწყებითი კარიესის მინანქრის ეროზიისაგან სადიფერენციაციო ნიშნებია:

\*ა) მეთილენის ლურჯით შეღებვა, დაზიანებული ადგილის დარბილება, დეფექტის ტიპიური ლოკალიზაცია;  
ბ) მეთილენის ლურჯით შეღებვისას ფერის უქონლობა, დეფექტის მაგარი ფსკერი;  
გ) დენტინის ჰიპერესთეზია, რომელიც თბილი წყლის ზემოქმედებით მატულობს;  
დ) დეფექტი მომრგვალებულია, გასწორებული კიდებით, გლუვი ფსკერით.

90. ღრმა კარიესის მწვავე პულპიტისაგან სადიფერენციაციო ნიშნებია:

ა) მაღალი მგრძობელობა ცხელის მიმართ, კარიესული ღრუს ფსკერის ზონდირებისას ტკივილის შეგრძნება;  
ბ) მაღალი მგრძობელობა ქიმიური გამლიზიანებლების მიმართ, თვითნებითი ტკივილის არსებობა;  
\*გ) თვითნებითი ტკივილების უქონლობა, მიზეზობრივი ხასიათის ტკივილები თერმულ ქიმიურ და მექანიკურ გამლიზიანებულზე, რომელიც მიზეზის მოხსნის შემდეგ ქრება;  
დ) თვითნებითი ტკივილების არსებობა, ტკივილი ცივთან შესებისას.

91. დაწყებითი კარიესის მკურნალობის ყველაზე ხელსაყრელი მეთოდია:

ა) დაზიანებული მინანქრის პრეპარირება;  
ბ) დაზიანებული მინანქრის მოშორების შემდეგომი დაბუნა;  
\*გ) კბილის მინანქრის მინერალური შემადგენლობის აღდგენა - რემთერაპია;  
დ) არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი არაა სწორი.

92. ფაქტორები, რომლებიც აძლიერებენ ფტორიდების ანტიკარიესულ მოქმედებას პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებისას:

ა) წყალში ფტორიდების მაღალი კონცენტრაცია (1,5-2 მგ/ლ-მდე);  
\*ბ) ფტორის შემცველი პასტების მუდმივი

გამოყენება;

გ) ფტორის შემცველი აბების გამოყენება არანაკლებ 100 დღისა წელიწადში.

დ) სწორია ყველა ჩამოთვლილი.

93. ზედაპირული კარიესის საშუალო კარიესისაგან სადიფერენციაციო ნიშნებია:

ა) ქიმიური გამლიზიანებლების მიმართ მაღალი მგრძობელობა და კბილის ქსოვილების საგრძნობი დაშლა;  
ბ) სრული შეუგრძობლობა ქიმიური და მექანიკური გამლიზიანებლების მიმართ მხოლოდ მინანქრის დაშლა;

გ) უმნიშვნელო მგრძობელობა ქიმიური გამლიზიანებლების მიმართ და ქსოვილების ღრმა დაზიანება;

\*დ) მაღალი მგრძობელობა ქიმიური გამლიზიანებლების მიმართ და მხოლოდ მინანქრის დაზიანება;

94. ღრმა კარიესის დროს, რომელსაც თან ახლავს პულპის ჰიპერემია აუცილებელია:

ა) პულპის ექსტირპაცია;

\*ბ) დარბილებული და პიემენტირებული დენტინის მოშორება; პულპის გამიშვლების თავიდან აცილება; ანთების საწინააღმდეგო პასტის დადება;

გ) დაზიანებული დენტინის მთლიანად გულმოდგინედ მოშორება და ანთების საწინააღმდეგო პასტის დადება პულპის გამიშვლების ხარისხის მიუხედავად;

დ) არასრული ნეკრექტომის ჩატარება და ანთების საწინააღმდეგო პასტის დადება.

95. სილიკატური ბუენის გამოყენების ყველაზე შესაძლო ეფექტი, რომელსაც უნდა ველოდოთ ღრმა კარიესული ღრუს სარჩულის გარეშე დაბუნებისას:

ა) მონაცვლე დენტინის წარმოქმნა;

ბ) ე.წ. მკვდარი გზების წარმოქმნა;

გ) არავითარი ტკივილები;

\*დ) პულპის ნეკროზი;

96. დროებით საბუენ მასალას უნდა გააჩნდეს შემდეგი თვისებები:

ა) მექანიკური და ქიმიური გამძლეობა, ფერის სიმტკიცე;

ბ) მინანქრის შესაფერისი ფერი, ნელი გამყარების უნარი;

\*გ) ღრუს კედლებზე კარგი ადჰეზიის უნარი, პულპაზე არ იქონიოს მავნე გავლენა, ადვილად შესატანი და გამოსატანი კარიესული ღრუდან, არ უნდა იწვევებოდეს და რამდენიმე თვის განმავლობაში მუდმივ მოცულობას ინარჩუნებდეს;

დ) უნდა იყოს რენტგენოკონტრასტული.

97. პულპა შეიძლება დანეკროზდეს სილიკატცემენტური ბუენების გამოყენების შედეგად:

ა) ცემენტში შემავალი დარიღების მყარად ანჰიდრიდის მოქმედების ხარჯზე;

ბ) ცუდი ადჰეზიური თვისებების გამო;

გ) მაღალი ხარისხის გაწოვის გამო;

\*დ) მყარად მოქმედების გამო.

98. ერთფენიანი კბილის არხის 2/3 დაბუნებულია არაგამყარებადი პასტით. დაავადების გამწვავების შემთხვევაში რეკომენდებულია:

\*ა) არხის განბუნა;

ბ) არხის მწვერვალის რეექციცია;

- გ ) კბილის ექსტრაქცია;
- დ ) განაკვეთის გატარება.

99. სხივური ეფექტით გამყარებადი ბუნების გამოყენების დროს არ არის აუცილებელი დამატებითი საფიქსაციო მოედნების შექმნა. ამის მიზეზია:

- ა ) ადპეზიური სისტემა მინც ამოავსებს ამ სივრცეებს;
- \*ბ) ბუნის გააჩნია კარგი ადპეზიური სისტემა;
- გ ) ბუნის არის ცვეთმედვეგი;
- დ ) ბუნის არ ახასიათებს პოლიმერიზაციული შეკუმშვა.

100. საშუალო კარიესის დროს ბლექის კლასიფიკაციის მიხედვით IV კლასის ღრუს აღდგენისას ექიმის ტაქტიკაა:

- ა ) ვიტალური ან დევიტალური ექსტრაქცია;
- ბ ) პარაპულპალური და ინტრაპულპალური წყვილების გამოყენება;
- \*გ) პრეპარირება, პარაპულპარული წყირის და ადპეზიური სისტემის გამოყენება და კბილის ანატომიური ფორმის აღდგენა;
- დ ) კბილის ამოღება.

101. ფოსფატ-ცემენტის მუდმივ ბუნად გამოყენება:

- ა ) შეიძლება, რადგან ითვლება მუდმივ საბუნ მასალად;
- ბ ) არ შეიძლება დაბალი ესთეტიკური თვისებების გამო;
- \*გ) შეიძლება გარკვეულ მდგომარეობაში, როცა კბილების დაფარვა ხდება ხელოვნური გვირგვინებით; სარძევე კბილების დასაბუნად, როდესაც კბილის მოცვლამდე დარჩენილია არა უმეტეს 6 თვისა;
- დ ) არ შეიძლება, ის პულპისათვის ძალზე ტოქსიკურია.

102. ცემენტის ბუნების არსებობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია:

- \*ა) ღრუს სწორ მომზადებაზე, ცემენტის დამზადების ტექნოლოგიაზე, ღრუს სრულყოფილ გამოშრობაზე, ბუნის ნერწყვისაგან იზოლაციაზე და დაბუნის მეთოდის ცოდნაზე;
- ბ ) საბუნის მასალის სწორი დამზადების და ნერწყვისაგან ბუნის იზოლაციაზე;
- გ ) მასალაში სპეციალური ინგრედიენტების შეტანაზე;
- დ. მასალის კარგ ხარისხზე.

103. კომპოზიციური საბუნის მასალით (პასტაპასტა). დაბუნის სწორი მეთოდია:

- ა ) სარჩული თავსდება მხოლოდ ფსკერზე, მასალა შეიტანება ღრუში რამდენიმე ულუფად;
- \*ბ) სარჩული თავსდება მინანქარ-დენტინის საზღვრამდე; მასალა შეიტანება ერთ ან მაქსიმუმ ორ ულუფად; საგულდაგულოდ კონდენსირდება;
- გ ) სარჩული თავსდება მხოლოდ ფსკერზე, მასალა შეიტანება ღრუში რამდენიმე ულუფად;
- დ ) მასალა უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ ადპეზივთან ერთად.

104. ამაღამის უარყოფითი მხარეებია:

- ა ) ნესტის მიმართ მგრძობელობა, მოცულობის შეცვლა;
- \*ბ) ცუდი ადპეზიური თვისებები, თბოგამტარობა, ოქროს გვირგვინის კოროზიის შესაძლებლობა;
- გ ) დაბალი მექანიკური და ესთეტიკური თვისებები;
- დ ) ცვეთმედვეობა.

105. კომპოლითის (პასტა-პასტა). დადებითი თვისებებია:

- \*ა) კარგი კონსმეტიკური თვისებები;
  - ბ ) არ არის ტოქსიური;
  - გ ) ახასიათებს თბოგამტარობა;
  - დ ) ახასიათებს პოლიმერიზაციული კუმშვადობა.
106. პელიომასალის დადებითი თვისებებია:
- ა ) კარგი ადპეზიის უნარი;
  - ბ ) მექანიკური სიმტკიცე;
  - გ ) კარგი კონსმეტიკური თვისებები;
  - \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწორია.

107. აქვიაონომერული ცემენტით კარიესული ღრუს დაბუნისას ექიმის ტაქტიკაა:

- ა ) კბილის ღრუს პრეპარირება, დენტინით გამოხდილ წყალზე საიზოლაციო სარჩულის მოთავსება, მუდმივი ბუნის დადება;
- \*ბ) კარიესული ღრუს პრეპარირება, მუდმივი ბუნის დადება;
- გ ) კარიესული ღრუს პრეპარირება, ფსკერზე დარბილებული და პიგმენტირებული დენტინის დატოვება, მუდმივი ბუნის დადება;
- დ ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწორია.

108. სხივური ეფექტით გამყარებადი ბუნების გამოყენების დროს ექიმის ტაქტიკა ასეთია:

- ა ) დატოვებულ უნდა იქნას მაგარი, მაგრამ პიგმენტირებული დენტინი;
- \*ბ) პრეპარირების ეტაპების სრულფასოვანი ჩატარება, კბილის ზედაპირის გაპირილება აბრაზიული არაფტორირებული პასტით, ბუნის ფერის შერჩევა, ადპეზიური სისტემის გამოყენება, დაბუნა ფენა - ფენა, ბუნის საბოლოო პოლირება;
- გ ) პრეპარირება, ადპეზიური სისტემის გამოყენება, დაბუნა;
- დ ) პრეპარირება, კბილის გაპირილება არაფტორირებული აბრაზიული პასტით, ფერის შერჩევა, ბუნის შეტანა ერთ მთლიან ულუფად და დასხივება.

109. კომპოზიციური საბუნის მასალეში, მათი ძირითადი თვისებები, ჩვეულებრივი პოლიმერული მასალისაგან განსხვავება:

- \*ა) კომპოზიციური მასალეებია - პოლიმერულ საფუძველზე დამზადებული მასალეები, რომლებშიც შეყვანილია სპეციალურად დამუშავებული შემავსებელი და განსხვავდება თავისი მაღალი ფიზიკო-მექანიკური და კონსმეტიკური თვისებებით;
  - ბ ) პოლიმერული მასალა შემავსებლით, საუკეთესო ადპეზიით;
  - გ ) სხვადასხვა პოლიმერების ნარევი, არ განსხვავდება;
  - დ ) აკრილის და ეპოქსიდის ფისების ნარევი. უფრო მაღალი გამძლეობა. კარბოდენტი, სტომადენტი, ევიკროლი;
110. მიუთითეთ კარიესული ღრუს პრეპარირების თავისებურებაზე კომპოზიციური საბუნის მასალეებით მუშაობის დროს. რა მასალეები გამოიყენება სარჩულების სახით

კომპოზიციური მასალების ქვეშ:

ა ) ყუთისებრი ფორმა; ცინკ-ეგენოლის პასტა;

\*ბ) ღრუს ფორმირება, ღრუს კიდე ფორმირდება მინანქარზე 45 გრადუსიანი კუთხის დახრით: იონომერული და პოლიკარბოქსილატური ცემენტი;

გ ) ხლები კიდის უკუკონუსური ფორმირება უკეთესი რეტენციისათვის; ფოსფატ-ცემენტი;

დ ) ბლექის მიხედვით; ფოსფატ-ცემენტი.

111. კომპოზიციური მასალებით დაბეჭდვისას მატრიცები გამოიყენება შემდეგი მიზნით:

\*ა) ბეჭდვის კონტურების და კბილის ანატომიური ყელის ფორმირებისათვის;

ბ ) მასალის რაოდენობის შემცირებისათვის;

გ ) გამძლეობის ხარისხის

გაუმჯობესებისათვის;

დ ) ფერის მდგრადობის გაუმჯობესებისათვის;

112. მიუთითეთ რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება კომპოზიციური მასალებით კარიესული ღრუს დაბეჭდვისას:

ა ) პოლიმერიზაცია (წნევის ქვეშ), მინანქრის გრავირება (ეთჩირება);

ბ ) საბეჭდო მასალის სანთლით დაფარვა;

\*გ) მინანქრის გრავირება (კონდენსირება);

ადპეზიური სისტემის გამოყენება; ღრუს გამოშრობა, დაბეჭდვა წნევის ქვეშ;

დ ) ღრუს კარგი გამოშრობა;

113. ჩამოთვლილი მასალებიდან, კბილის პულპას არ ღიზიანებს:

ა ) სილიციონი;

\*ბ) აქვიონომერული ცემენტი;

გ ) ვეიკროლი;

დ ) სტომატენტი;

114. ამაღვამით და კომპოზიციური მასალებით დეფექტების დაბეჭდვისას გამოიყენება ხის სოლები:

\*ა) ბეჭდვის კიდის ფორმირებისათვის;

ბ ) ამაღვამის კონდენსაციის გაუმჯობესების მიზნით;

გ ) მასალის წნევის ქვეშ პოლიმერიზაციის პირობების შექმნისათვის;

დ ) ღრძილის დერილების მატრიცით დაზიანების თავიდან აცილებისათვის;

115. მიუთითეთ ამაღვამის დამუშავების ვადები, მისი მოთავსების შემდეგ:

\*ა) 24 სთ;

ბ ) 14 დღე;

გ ) 12 საათი;

დ ) 30 დღე;

116. ფესვთა არხების გუდაპერჩის წკირებით დაბეჭდვისას გამოიყენება:

\*ა) პლუგერი;

ბ ) დრილბორი;

გ ) ზონდი;

დ ) შტოპფერი;

117. მიუთითეთ ყველაზე რაციონალური და თანამედროვე საბეჭდო მასალები მუდმივ კბილთა ფრონტალური ჯგუფის სამკურნალოდ:

ა ) აკრილის ფისებზე დამზადებული საბეჭდო მასალები;

\*ბ) სხივური ეფექტით გამყარების უნარიანი საბეჭდო მასალები;

გ ) კომპოზიციური საბეჭდო მასალები (ფხვნილი-სითხე);

დ ) კომპოზიციური საბეჭდო მასალა (პასტაპასტა).

118. საშუალო კარიესის დროს სარჩელის

გარეშე არ თავსდება:

ა ) ვეიკროლი;

ბ ) სილიციონი;

გ ) სტომატენტი;

\*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

119. ოქროს გვირგვინის ქვეშ კარიესული

დეფექტი არ უნდა დაიბეჭდოს:

\*ა) ამაღვამით;

ბ ) სილიციონით;

გ ) იონომერული ცემენტით;

დ ) ფოსფატ-ცემენტით;

120. იონომერული ცემენტის შემადგენლობა:

\*ა) პოლიაკრილის მჟავა, მინა, საღებავები;

ბ ) ფოსფორმჟავა, მინა, საღებავები;

გ ) პოლიაკრილის მჟავა, მინა, ვერცხლის, ოქროს ან პლატინის იონები;

დ ) ორთოფოსფორ მჟავა, თუთიის ჟანგი, მინა;

121. საბაზო პასტის და გამამყარებლის

შეფარდება ინტრადონტის გამოყენებისას

ა ) 1:1;

ბ ) 2:1;

\*გ) 4:1;

დ ) 1:2;

122. პულპიტების ამპუტაციური მეთოდით

მკურნალობისას, პულპის დევიტალიზაციის

შემდეგ, უმჯობესია შემდეგი პასტების

გამოყენება:

ა ) თიმოლის, იოდოფორმის, ეგენოლ-თიმოლის;

ბ ) სულფანილამიდური პასტები; სტრენტოციდი,

ნორსულფაზოლი, ანტიბიოტიკები და

კორტიკოსტეროიდები;

\*გ) ფორმალინის შემცველი პასტები;

დ ) თუთია-ეგენოლური პასტა კალციუმის

ჰიდროქსიდით;

123. სტომატოლოგიური ცემენტი აღუმოდენტი

მიეკუთვნება:

ა ) თუთია-ფოსფატურ ცემენტებს;

\*ბ) სილიკატურ ცემენტებს;

გ ) სილიკო-ფოსფატურ ცემენტებს;

დ ) თუთია-ეგენოლურ ცემენტებს;

124. პულპის მთლიანი ექსტირპაციის შემდეგ

ფესვის არხის დაბეჭდვა უმჯობესია:

ა ) ფოსფატ-ცემენტით;

ბ ) რეზორცინ-ფორმალინის პასტით;

\*გ) თუთია-ეგენოლის პასტით;

დ ) კალციონით.

125. ფესვთა არხების დასაბეჭდო პასტების

შემადგენლობაში არსებული კალციუმის

ჰიდროქსიდი გამოიყენება შემდეგი მიზნით:

ა ) რეტენოკონტრასტულობა;

ბ ) დენტინო-ცემენტოგენეზის სტიმულირება;

\*გ) ოსტეოგენეზის სტიმულაცია;

დ ) ანთების საწინააღმდეგო თერაპია;

126. საბეჭდო მასალის სხივური ეფექტით

გამყარების დრო ბეჭდვის სისქის

გათვალისწინებით:

ა ) 4 მმ - 20 წმ;

ბ ) 3 მმ - 26 წმ;

გ ) 5 მმ - 45 წმ;

\*დ) ეტაპურად ყოველ 2 მმ-ზე - 40 წმ თითოზე.

127. პულპიტის დროს კალციუმის ჰიდროქსიდი



სამკურნალო სარჩულად გამოიყენება:

- ა ) არხის დასაბუნება;
  - \*ბ) პულპის შენარჩუნების მიზნით;
  - გ ) რენტგენოკონტრასტულობისათვის;
  - დ ) ფესვის არხთა მიკროფლორაზე ანტიმიკრობული მოქმედების მიზნით.
128. ითვლება თუ არა ღრმა კარიესის მკურნალობის დროს კალციუმის ჰიდროქსაპენის გამოყენება ენდოდონტიის პრევენციად:
- \*ა) დიახ, ამ ბოლო დროს მისი გამოყენება ხდება პროფილაქტიკის მიზნით;
  - ბ ) არა, ეს მეთოდი არ არის პროფილაქტიკური;
  - გ ) არა, კალციუმის ჰიდროქსაპენი ტუტება, 10-12 PH-ით და შეიძლება გამოიწვიოს პულპის ნეკროზი;
  - დ ) არა, ამ მიზნისათვის სხვა პრეპარატებს იყენებენ;

129. იონომერული ცემენტებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი თვისებები:

- ა ) ტოქსიურობა;
- \*ბ) კარგი ადჰეზია კბილის მაგარი ქსოვილების კალციუმთან კავშირის ხარჯზე;
- გ ) ფერის მდგრადობა;
- დ ) მოცულობაში არ იკლებს

130. შესაძლებელია ღრუს ფორმირების გარეშე სოლისებრი დეფექტების და კბილის მაგარი ქსოვილების ეროზიის დაბუნება?

- ა ) დიახ, ჩვეულებრივი მეთოდით, ყველა კომპოზიციური მასალით;
- \*ბ) დიახ, უკეთესია შუქგამყარებადი კომპოზიციებით;
- გ ) არა, ბუნებრივი დიდხანს არ იარსებებს;
- დ ) დიახ, უკეთესია გლასიონომერული ცემენტით;

131. რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ქიმიურად (დეგუფილი). და სხვიური ეფექტი (ტეტრაციკლი). გამყარებადი კომპოზიციური საბუნებრივი მასალები:

- ა ) ფერით გამოით;
- ბ ) ადჰეზიური სისტემით;
- გ ) დაბუნების ტექნიკით;
- \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწორია.

132. რომელ კომპოზიტს აირჩევდით შემდეგი კლასიფიკაციიდან:

- ა ) ჩვეულებრივი;
- ბ ) მცირე ნაწილაკებიან კომპოზიტებს;
- გ ) მიკროშემავსებლიან კომპოზიტებს;
- \*დ) ჰიბრიდულს;

133. პოლიაკრილის მყავაზე დამზადებული სტომატოლოგიური ცემენტების უპირატესობა:

- ა ) მექანიკური დატვირთვის მიმართ გამძლეობა;
- ბ ) გამჭვირვალობა და შუქგამტარიანობა;
- \*გ) კბილის მაგარი ქსოვილების კალციუმთან კავშირი, არატოქსიურობა, დაბალი ხსნადობა;
- დ ) სწრაფი გამყარება; სიმაგრე, მაღალი ესთეტიკური თვისებები, არატოქსიურობა;

134. ანთების საწინააღმდეგო ეფექტი, რომელიც არხების შემავსებელ პასტებს ახასიათებთ, აიხსნება მათ შემადგენლობაში შემდეგი ნივთიერებების დამატებით:

- ა ) კალციუმის ჰიდროქსაპენი;
- \*ბ) კორტიკოსტეროიდული პრეპარატები;
- გ ) ანტისეპტიკები;
- დ ) ფერმენტები.

135. ქვემოთ ჩამოთვლილი ნახშირწყლებიდან განსაკუთრებით კარიესოგენულია:

- \*ა) საქაროზა
- ბ ) გლუკოზა
- გ ) კრახმალი
- დ ) ფრუქტოზა

136. ქვემოთ ჩამოთვლილი მიკროელემენტებიდან რომელი ატარებს კარიესოგენულ ხასიათს

- ა ) ფტორი
- ბ ) ფოსფორი, მარგანეცი
- გ ) კალიუმი, რკინა
- დ ) სტრონციუმი, რკინა

\*ე) სელენიუმი

137. კარიესის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება:

- ა ) ვიტამინების მიღების სისშირეს
- ბ ) საკვებთან ერთად მიღებული ცილების რაოდენობას
- გ ) ნახშირწყლების მიღების სისშირეს
- დ ) მიღებული ნახშირწყლების რაოდენობას
- \*ე) ნახშირწყლების მიღების სისშირეს და მათი პირის ღრუში დაყოვნების ხანგრძლივობას

138. ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმებიდან, რომელი შეიძლება მივაკუთვნოთ კარიესის კლინიკო-ანატომიურ (ტოპოგრაფიულ) კლასიფიკაციას

- ა ) დულაბის კარიესი
- ბ ) რეციდიული კარიესი
- \*გ) საშუალო კარიესი
- დ ) სუბკომპენსირებული კარიესი

139. კარიესის კლასიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს კარიესული პროცესის გავრცელების სიღრმეს:

- \*ა) კლინიკო-ანატომიური (ტოპოგრაფიული) კლასიფიკაცია
- ბ ) კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით განარჩევენ კარიესის კომპენსირებულ, სუბკომპენსირებულ და დეკომპენსირებულ ფორმებს

გ ) კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით განარჩევენ მინანქრის, დენტინის და დულაბის კარიესს

დ ) ბლეკის კლასიფიკაცია

140. ბლეკის მიერ შემოთავაზებული კარიესული ღრუების ფორმირების პრინციპების გათვალისწინებით, დამატებითი მოედნის შექმნა აუცილებელია

- ა ) I კლასი
- ბ ) V კლასი
- \*გ) II და IV კლასი
- დ ) III და V კლასი

141. კარიესის ადგილობრივი მკურნალობისას, დაუმუშავებელი შემდეგი ნივთიერებების გამოყენება: 1) წყალბადის ზეჟანგის 3%-იანი ხსნარი; 2) ქლორამინის 1%-იანი ხსნარი; 3) იოდინოლის 1%-იანი ხსნარი; 4) სპირტი; 5) ეთერი

- ა ) სწორია 1;2;3
- ბ ) სწორია 3;4

\*გ) წორია 4;5

142. ქვემოთ ჩამოთვლილი გამოკვლევის მეთოდებიდან რომლის გამოყენება არის ეფექტური საშუალო და ღრმა კარიესის შორის დიფერენციული დიაგნოზის გატარებისას: 1) ზონდირება; 2) პერკუსია; 3) ელექტროდონტოდიაგნოსტიკა; 4) რენტგენოლოგიური გამოკვლევა; 5) პაციენტის სუბიექტური ჩივილები (ანამნეზი)

ა) სწორია 1;2

ბ) სწორია 3;5

გ) სწორია 4;5

\*დ) სწორია 1;5

143. რომელი ელემენტი არ გააჩნია კარიესულ ღრუს

ა) კიდები

\*ბ) თაღი

გ) ფსკერი

დ) კუთხეები

ე) კედლები

144. სილიკატური ცემენტების დადებითი თვისებებია:

ა) კბილის მაგარ ქსოვილებთან კარგი

ადჰეზიის უნარი

ბ) კარგი მექანიკური მახასიათებლები

\*გ) ფერადი გამა და ფტორიდების შემცველობა

დ) კარგად ექვემდებარება ფინირებასა და

პოლირებას

145. სილიკატურ ცემენტებს მიეკუთვნება:

ა) სილიდონტი

ბ) ადჰეზორი

გ) აკრილოქსიდი

\*დ) ალუმინოფენტი

ე) ქტოდენტი

146. სილიკატური ცემენტები გამოიყენება:

ა) I კლასის დროს

ბ) II კლასის დროს

\*გ) III კლასის დროს

დ) IV კლასის დროს

147. სილიკო-ფოსფატური ცემენტების წარმომადგენელია

ა) ვიტაკრილი

ბ) ხარიზმა

\*გ) ლაქტოდენტი

დ) სილიცინ-2

148. დროებით საბუნ მასალებს მიეკუთვნება:

ა) ხელოვნური დენტინი, ვისფატი,

ბაქტეროციდული ცემენტი

\*ბ) დენტინ პასტა, ვინოქსოლი, ხელოვნური

დენტინი;

გ) ფოსფატ ცემენტი, ვიტაკრილი;

დ) პოლიმერული ცემენტი, თუთია ევგენოლური

ცემენტი

149. ვისფატ-ცემენტი ფოსფატ-ცემენტისაგან განსხვავდება:

ა) კარგი ესთეტიკური მახასიათებლებით

ბ) ის იმიურად უკავშირდება მინანქარსა და

დენტინს

გ) შეიცავს ფტორიდებს

\*დ) მავრდება უფრო სწრაფად და ნერწყვში

ნაკლებად ხსნადია

150. მინაიონომერული ცემენტების შემადგენლობა:

\*ა) პოლიაკრილი მჟავა, მინა, სარებავები

ბ) ფოსფორმჟავები, მინა, საღებავები

გ) პოლიაკრილი მჟავა, მინა, ცინკ-ფოსფატური

ცემენტის ფხვნილი

151. რა შემთხვევაში ვიყენებთ მინაიონომერულ ცემენტებს:

ა) IV კლასის დასაბუნად

ბ) მუდმივ კბილებში II და IV კლასის

დასაბუნად

\*გ) მუდმივ კბილებში III და V კლასის დასაბუნად

დ) მუდმივ კბილებში ყველა კლასის კარიესული

ღრუების დასაბუნად

152. მინაიონომერული ცემენტების საიზოლაციო

სარჩულად გამოყენების დროს მათი ზედმეტი

გადაშრობა არ შეიძლება

ა) ეს გამოიწვევს მათი მექანიკური თვისებების

გაუარესებას

ბ) ფტორიდების რაოდენობის შემცირებას

გ) ფერადი მახასიათებლებისა და ადჰეზიის

გაუარესებას

\*დ) დაბუნის შემდეგ ტკივილის სინდრომის

ჩამოყალიბებას

153. შტრიფსები გამოიყენება

ა) ფერადი მახასიათებლების გასაუმჯობესებლად

ბ) დაბუნის დროს ღრძილის დვრილზე

ზეწოლისაგან დასაცავად

\*გ) საკონტაქტო ზედაპირებზე, ბუნის ფინირებისა

და პოლირებისათვის

154. კომპოზიციური მასალა "ჰელიოპროგრესი"

მიეკუთვნება

ა) მაკროშემავსებელ

\*ბ) მიკროშემავსებელ

გ) კომპომერებს

დ) მიკროჰიბრიდებს

155. ხის სოლები გამოიყენება შემდეგი

მიზნით:

\*ა) საკონტაქტო პუნქტის კორექციული

ფორმირება

ბ) მატრიცით ღრძილის დვრილის

ტრავმირების თავიდან აცილება

გ) მასალის პოლიმერიზაციისთვის

პირობების შექმნა ზეწოლის ქვეშ

156. ფორმალური კბილების დასაბუნად

არ გამოიყენება

ა) პრიზმა თPH

ბ) ჰერკულიტი

გ) Z-100

\*დ) პალოდენტი

ე) პროდიჯი

157. მასალები, რომლებიც გამოიყენება

ნებისმიერი სახის რესტავრაციული

სამუშაოს ჩასატარებლად:

ა) არაპოლიმერული მიკროშემავსებელი

კომპოზიტები

ბ) სხივზე გამყარებადი იონომერული

ცემენტები

გ) მაკროჰიბრიდები

\*დ) ტოტალური ჰიბრიდები

158. რესტავრაცია თანამედროვე

კომპოზიციური მასალების გამოყენებით,

არის:

ა) სამკურნალო მანიპულაცია, რომელიც

ატარებს კბილის ქსოვილების

რეგენერაციის ხელშეწყობ ხასიათს

ბ) სამკურნალო მანიპულაცია, რომელიც

ითვალისწინებს კბილის ფუნქციის

აღდგენას

\*გ) კბილების ესთეტიკური და ფუნქციური

პარამეტრების კორექცია და აღდგენა  
**159.** დენტინის გრავირება აუცილებელია ისეთი კომპოზიციური მასალების გამოყენებისას

\*ა) რომელსაც კომპლექსში მოჰყვება საბჟენი მასები, ადჰეზივი და პრაიმერი

ბ) რომელსაც კომპლექსში მოჰყვება საბჟენი მასები, ადჰეზივი და მომწამვლელი ნივთიერება

გ) რომელსაც კომპლექსში მოჰყვება საბჟენი მასები - მინანქრის შრე და გამჭირვალე შრე

**160.** ჰიბრიდული ზონა

ა) მესამეული დენტინი

ბ) ინტერგლობულარული დენტინი

\*გ) კბილების დენტინის შრე, რომელიც წარმოიქმნება დენტინის გრავირებისა და პრაიმერის გამოყენებით

დ) კბილის დენტინის შრე, რომელიც დაფარულია პირის ღრუს მიკროფლორის უჯრედებით და ეპითელიოციტებით

**161.** რა შემთხვევაში გამოიყენება ადჰეზიური სისტემა, საბჟენი მასალების შრეობრივად შეტანის დროს

ა) როდესაც ჟანგბადით ინჰიბირებული შრე არ არის დაზიანებული

ბ) თუ კომპოზიციური მასალა მყარდება ჰაერზე

\*გ) როდესაც ჟანგბადით ინჰიბირებული შრე მექანიკურად არის დაზიანებული

**162.** მინანქრის და დენტინის გრავირების დრო, სინათლეზე გამყარებადი კომპოზიციური მასალების გამოყენებისას

ა) 40წმ-60წმ

ბ) 10წმ-35წმ

\*გ) 30წმ-15წმ

დ) 30წმ-35წმ

**163.** მინანქრის გრავირების დრო სარძევე

კბილებში

ა) 30წმ

ბ) 40წმ

გ) 15წმ

\*დ) 60წმ

**164.** მინანქრის გრავირების დრო

არაკარიესული დაავადებებით დაზიანებულ კბილებში

ა) 30წმ

ბ) 40წმ

გ) 15წმ

\*დ) 60წმ

**165.** ფოტოპოლიმერიზაციით დასხვიების დრო - ღრუში შეტანილი მასალის ფენის გათვალისწინებით

ა) 4მმ-15წმ

ბ) 1მმ-40წმ

\*გ) 2მმ-30წმ

დ) 3მმ-25წმ

**166.** ქვემოთ ჩამოთვლილი მასალებიდან რომელი მიეკუთვნება კომპოზიტებს:

ა) სპექტრუმ TPH

ბ) პროზმა TPH

გ) Z-100

\*დ) დაირაქტ -AP

**167.** უნივერსალური პოლირებადი (სარკის ეფექტი) მასალები

ა) მაკროშემასებელი კომპოზიციური მასალები

\*ბ) მიკროშემასებელი კომპოზიციური მასალები

გ) მაკროჰიბრიდული კომპოზიციური მასალები

დ) ტოტალური ჰიბრიდული კომპოზიციური მასალები

**168.** თუთია-ოქსიდფლუოროლურ ცემენტებს მიეკუთვნება:

ა) ფორედენტი

ბ) ინტრადონტი

\*გ) კარიოსანი

დ) ფოსფატ-ცემენტი

**169.** ქვემოთ ჩამოთვლილი არხის საბჟენი მასალებიდან ჰორმონალური დანამატები შემადგენლობაში არ აქვს

ა) ენდომეტაზონს

ბ) ფორფენანს

\*გ) ევგედენტს

დ) მერპაზონს

**170.** რა არის კარიესი

ა) კარიესი არის ანატომიური წარმონაქმნი

ბ) კარიესი არის კბილის ამოჭრამდე

განვითარებული პათოლოგიური პროცესი

\*გ) კარიესი არის კბილის ამოჭრის შემდეგ

განვითარებული პროცესი, რომელიც

ხასიათდება კბილის მაგარი ქსოვილების

დემინერალიზაციით და დარბილებით.

**171.** რა არის მათივე კარიესი

\*ა) კარიესის სახეობა, რომელიც მოიცავს

კბილის მხოლოდ მაგარ ქსოვილებს და

რომელსაც ახასიათებს მიზეზობრივი ხასიათის

ტკივილები, რომლებიც მიზეზის

მოცილებისთანავე ქრებიან

ბ) კარიესის სახესვაობა, რომელიც მოიცავს,

როგორც კბილის მაგარ ქსოვილებს, ისე რბილ

ქსოვილსაც და რომელსაც ახასიათებს

მიზეზობრივი ხასიათის ტკივილები, რომლებიც

მიზეზის მოცილებისთანავე არ ქრებიან

გ) კარიესის სახესვაობა, რომელიც მოიცავს

კბილის მაგარ ქსოვილებს და ხასიათდება

თვითნებითი ხასიათის ტკივილებით

**172.** ლაქის სტადიაში დიფერენციული დიაგნოზი

უნდა გატარდეს შემდეგ დაავადებებთან

ა) ეროზია, ზედაპირული კარიესი

ბ) მინანქრის ნეკროზი, ეროზია

გ) ზედაპირული კარიესი, ფლუროზი

\*დ) ფლუროზი, ჰიპოპლაზია

**173.** ზედაპირული კარიესის შემთხვევაში დიფ.

დიაგნოზი უნდა გატარდეს შემდეგ

დაავადებებთან:

\*ა) ჰიპოპლაზია, მინანქრის ეროზია, სოლისებური

დეფექტი

ბ) საშუალო კარიესი, მინანქრის ეროზია

გ) მინანქრის ეროზია, მინანქრის ნეკროზი

დ) ღრმა კარიესი, სოლისებური დეფექტი

**174.** საშუალო კარიესის დროს დიფ. დიაგნოზი

ტარდება შემდეგ დაავადებებთან

ა) ღრმა კარიესი, ზედაპირული კარიესი

ბ) ქრ. პერიოდონტიტი, ქრ. განგრენოზული

პულპიტი

გ) ეროზია, ჰიპოპლაზია

\*დ) ღრმა კარიესი, სოლისებური დეფექტი, ქრ.

პერიოდონტიტი

175. ღრმა კარიესის დიაგნოზის დასმის დროს დიფ. დიაგნოზი ტარდება

ა ) მწვავე კეროვან და დიფუზურ პულპიტთან

ბ ) მწვავე კეროვან პულპიტთან

გ ) ქრონიკულ ფიბროზულ და ქრონიკულ განგრენოზულ პულპიტთან

\*დ) მწვავე კეროვან, ქრონიკულ ფიბროზულ პულპიტთან და საშუალო კარიესთან

176. რთული კარიესი შეიძლება განვითარდეს:

ა ) კარიესული ღრუდან კბილის ღრუში ინფექციის შეჭრის შედეგად

ბ ) ტრავმის შედეგად

გ ) სისხლის გზით ინფექციის მიტანის შედეგად

დ ) კბილის პრეპარირების ტექნიკის დარღვევის შედეგად

\*ე) ყველა ჩამოთვლილი სწორია

177. საშუალო კარიესის ქრონიკული

პერიოდონტიტისაგან სადიფერენციაციოდ

გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გამოკვლევის შემდეგ მეთოდებს:

ა ) თერმოდიაგნოსტიკას და ზონდირებას

ბ ) ვერტიკალურ პერკუსიას

\*გ) ანამნეზს, რენტგენოლოგიურ გამოკვლევასა

და პულპის ელექტროდონტომეტრიულ გამოკვლევას

დ ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

178. მარტივი კარიესის დროს პულპის

ელექტროაგნებადობის ამპლიტუდა მერყეობს

ა ) 2-6 მიკროამპერამდე

\*ბ) 2-დან 12 მიკროამპერამდე

გ ) 15-დან 10 მიკროამპერამდე

179. ამაღლებით კარიესული ღრუს დაბუნის

დროს როგორი ფორმა უნდა მიეცეთ კარიესულ ღრუს

ა ) ყუთისებური

\*ბ) კასრისებური

გ ) ჯვარისებური

დ ) ოვალური

180. ვერცხლის ამაღლების დადებითი მხარეებია

ა ) არის მტკიცე და ცვეთმედეგი

ბ ) არის პლასტიური

გ ) ხასიათდება ბაქტერიოციდული თვისებებით

დ ) გამყარების შემდეგ არ იკუმშება

\*ე) სწორია ყველა ჩამოთვლილი

181. სჭირდება თუ არა საიზოლაციო სარჩული სილიდონტს:

ა ) არ სჭირდება, რადგანაც იგი არ

ალიზიანებს პულპას

ბ ) სჭირდება, რადგანაც იგი მიეკუთვნება

პლასტმასებს და წარმოადგენს პულპის ძლიერ გამლიზიანებელს

\*გ) სჭირდება, რადგანაც იგი მიეკუთვნება

სილიკოფოსფატცემენტს და ალიზიანებს პულპას

182. რისთვის ვახდენთ კომპოზიციური

საბუნე მასალით კარიესულ ღრუს

დაბუნისას მინანქრის გრაფირებას

(კონდენსირებას)

\*ა) გრაფირებისას გამოყენებული მჟავა

ხსნის მინანქრის ზედაპირიდან 10 მკ

სისქის შრეს და წარმოქმნის ფორებს,

სადაც ადვილად ჩაიჭონება ბონდი

ბ ) კბილის ზედაპირს წმენდს ნადებისაგან

გ ) გვეხმარება ბუნის ფერის შერჩევაში

183. კომპოზიციური საბუნის მასალით კბილის დაბუნამდე აუცილებელი პირობაა კბილის გაპრიალება

არაფთოორიგებული, აბრაზიული პასტი, იმიტომ, რომ:

\*ა) პასტა აცილებს ნადებს, აუმჯობესებს

მჟავურ გრაფირებას და კბილის ფერის

განსაზღვრის ხარისხს

ბ ) უზრუნველყოფს მეორადი კარიესის

განვითარების თავიდან აცილებას

გ ) აუმჯობესებს ბუნის ფიქსაციის

ხარისხს

184. კომპოზიციური საბუნე მასალების

გამოყენების ჩვენებანი

ა ) კარიესული დეფექტი

ბ ) არაკარიესული წარმოშობის

დეფექტები

გ ) კბილის ფერისა და ფორმის

ანომალიები

\*დ) სწორია ყველა ჩამოთვლილი

185. რამ შეიძლება გამოიწვიოს მუდმივი

ბუნის ამოვარდნა

ა ) კარიესული ღრუს პრეპარირების

პრინციპების დაუცველობამ

ბ ) სამკურნალო და საიზოლაციო

სარჩულეების არასწორად დადებამ

გ ) საბუნე მასალის ტექნოლოგიის

დარღვევამ

\*დ) სწორია ყველა ჩამოთვლილი

186. რას აკეთებს პრაიმერი

\*ა) წარმოქმნის ჰიბრიდულ შრეს და

ახდენს დენტინის მილაკების კუპირებას

ბ ) წარმოქმნის მეორად დენტინს

გ ) აქვს სამკურნალო თვისებები

187. რამდენი ხნის განმავლობაში

ვახდენთ პრაიმერის შეზღვევას დენტინის

ქსოვილში

ა ) 5-10 წმ-ის განმავლობაში

\*ბ) 30 წმ-ის განმავლობაში

გ ) 60 წმ-ის განმავლობაში

188. სხივამყარებადი კომპოზიციური საბუნე

მასალით კბილთა რესტავრაციის

წინააღმდეგევენება:

ა ) ადპეზიური სისტემისადმი ალერგიული

რეაქცია

ბ ) პირდაპირი ტანკბილისა და პათოლოგიური

ცვეთის შერწყმა

გ ) ონკოლოგიური პაციენტი

დ ) თუ პაციენტს ჩადგმული აქვს გულის

სტიმულატორი

ე ) თვალის დაავადებები (განსაკუთრებით

ბადურა გარსის), კატარაქტის ოპერაციის

შემდგომი პერიოდი

\*ვ) სწორია ყველა ჩამოთვლილი

189. საბუნე მასალების რომელ ჯგუფს

მიეკუთვნება კომპომერი

ა ) კომპოზიციურს

ბ ) პლასტმასებს

გ ) ცემენტს

\*დ) იგი აერთიანებს მინაიონიზირებული

ციმენტისა და კომპოზიციური საბუნე მასალის

თვისებებს

190. მინანქრის სრულყოფილი გრაფირების

ჩასატარებლად ფოსფორმჟავას ოპტიმალურ

კონცენტრაციად ითვლება:

- ა ) 50%-იანი ფოსფორმჟავა
- ბ ) 27%-იანი ფოსფორმჟავა
- გ ) 30-40 %-იანიფოსფორმჟავა
- დ ) 20-25 %-იანი ფოსფორმჟავა

191. რა და რა სახის ადპეზივები არსებობს

- ა ) ადპეზივები კომპოზიციური საბჟენი მასალისთვის
- ბ ) ადპეზივები ამალგამისათვის
- გ ) უნივერსალური ადპეზივები
- \*დ) სწორია ყველა ჩამოთვლილი

**არაკარიესული დაავადებები**

192. კბილის მაგარი ქსოვილების ქვემოთ ჩამოთვლილი პათოლოგიებიდან, ჩანასახების ფორმირების პერიოდში აღმოცენდება:

- ა ) კბილის ეროზია;
- \*ბ) ჰიპოპლაზია, მინანქრის ჰიპერპლაზია;
- გ ) მჟავური ნეკროზი;
- დ ) სოლისებრი დეფექტი.

193. ქვემოთ ჩამოთვლილი არაკარიესული

წარმოშობის დეფექტებიდან (რომლებიც კბილების ამოჭრის შემდეგ წარმოიშვება) ხშირად გვხვდება:

- \*ა) ტრავმა, კბილის ეროზია, სოლისებრი დეფექტი;
- ბ ) ფლუოროზი;
- გ ) მინანქრის ჰიპოპლაზია;
- დ ) ჰიპერპლაზია.

194. ჰიპოპლაზიის დროს ავადმყოფი უჩივის:

- ა ) მომატებულ მგრძობელობას;
- ბ ) მინანქრის გაცვეთას;
- გ ) ყველა ჩამოთვლილი ერთად;
- \*დ) კბილების ფერის და ფორმის შეცვლას;

195. ჰიპოპლაზიის დროს დეფექტის ყველაზე ტიპური ლოკალიზაციაა:

- ა ) ყველა ჯგუფის კბილების ვესტიბულარული ზედაპირი;
- ბ ) ფისურები;
- გ ) ფრონტალური კბილების ყელის მიდამო;
- \*დ) პირველი მოლარების ბორცვების, ეშვების და საჭრელების ვესტიბულური ზედაპირი;

196. ჰიპოპლაზიის კლინიკური ფორმებია:

- ა ) ლაქოვანი;
- ბ ) შტრისოვანი;
- გ ) კიბისებური;
- \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

197. მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ

ფლუოროზის განვითარებას:

- ა ) გაურკვეველი მიზეზები;
- \*ბ) ფტორის ჭარბი შემცველობა სასმელ წყალში;
- გ ) ნივთიერებათა ცვლის მოშლა;
- დ ) ფტორის დაქვეითებული შემცველობა სასმელ წყალში.

198. რომელი ფორმა არ შეესაბამება

ფლუოროზის კლინიკურ გამოვლენებს?

- ა ) ლაქოვანი;
- \*ბ) ჰიპერპლაზიური ;
- გ ) ცარცისებრ-წერტილოვანი;
- დ ) დესტრუქციული.

199. ფლუოროზის დროს კბილის დაზიანების

ყველაზე ტიპური ლოკალიზაცია არის:

- \*ა) საჭრელების და ეშვების ვესტიბულარული ზედაპირი;
- ბ ) ფისურები, ბუნებრივი ღრმულები;
- გ ) კბილის ყელის მიდამო;

დ ) ყველა ჯგუფის კბილის მაგარი ქსოვილების დაზიანება.

200. კბილის ფლუოროზის ლაქოვანი ფორმა ჰიპოპლაზიის ანალოგიური ფორმისაგან განსხვავდება:

- ა ) კბილების დაზიანებით, განსაკუთრებით მუდმივების;
- ბ ) ორივე ვითარდება კბილების ამოჭრის შემდეგ;
- გ ) კბილის ზედაპირზე მრავლობითი ლაქებით;
- \*დ) იმ რეგიონებში აღმოცენდება, სადაც სასმელ წყალში ფტორის მომატებული შემცველობაა.

201. სოლისებრი დეფექტის კლინიკური სიმპტომია:

- \*ა) სოლის ფორმის დეფექტი კბილის ყელის მიდამოში;
- ბ ) საჭრელი კიდის და ბორცვის დეფექტი;
- გ ) ოვალური ფორმის დეფექტი კბილის ვესტიბულარულ ზედაპირზე;
- დ ) ლარის ფორმის დეფექტი ღრძილის მიმდებარე კბილის უბანზე.

202. კბილთა ეროზიის განვითარების

ხელშემწყობი ფაქტორებია:

- ა ) ქიმიურ ნივთიერებათა მოქმედება- საკვებში ჭარბი ციტრუსების და მათი წვენების მოხმარება,- მჟავების მოქმედება სამრეწველო საწარმოში;
- ბ ) კბილის ჯაგრისის მექანიკური ზემოქმედება;
- გ ) ენდოკრინული დაავადებები;
- \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სწორია.

203. კბილების პათოლოგიური ცვეთის დროს, ავადმყოფების ტიპური ჩივილია:

- ა ) ჰიპერესტეზია;
- ბ ) საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ტკივილი;
- გ ) ესთეტიური დეფექტი;
- \*დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი;

204. დისკოლორიტის (ფერის შეცვლა).

მკუნალობის მეთოდები:

დაკრიოციტიტის დროს; 6) ჰაიმორიტის

დროს; 7) ქვედა ტუჩის რენტეციული

კისტების დროს; 8) ქვედა ყბის

რადიკულარული კისტის დროს.

\*ა) სწორია 2, 4, 5.

ბ ) სწორია ყველა ჩამოთვლილი.

603. ზონდირება გამოიყენება ყბა-სახის

მიდამოს შემდეგი პათოლოგიის დროს:

ა ) ფისტულის არსებობის დროს;

ბ ) ნაკვეთი და ნახვლეტი ჭრილობების

დროს;

გ ) სანერწყვე ჯირკვლის დაავადების

დროს;

\*დ) სწორია ყველა ჩამოთვლილი

ე ) ცრემლსავალი გზების პათოლოგიის

დროს.

604. პათოლოგიურად შეცვლილი

ქსოვილების აუსკულტაცია გამოიყენება:

ა ) ყბა-სახის მიდამოს ფლემონის დროს;

\*ბ) ჰემანგიომის დროს;

გ ) ლიმფანგიომის დროს.

დ ) დერმოიდული კისტის დროს;

ე ) ავთვისებიანი სიმსივნეების დროს.

605. ავადმყოფის გარეგანი

დათვლიერებით ავადმყოფობის

ისტორიაში აისახება:

ა ) ცვლილებების ლოკალიზაცია

ბ ) ცვლილებების ხასიათი (შესივება,

დეფორმაცია, ნაწიბური, დეფექტი);

გ ) კანის საფარველის ფერი (ნორმალური, მკრთალი, ციანოზური, ჰიპერემიული);

\*დ) სწორია ყველა ჩამოთვლილი.

606. გამოკვლევის მეთოდებიდან ქირურგიულ სტომატოლოგიაში ანამნეზი მოიცავს:

ა ) ავადმყოფზე ზოგად ცნობებს;

ბ ) ცხოვრების ანამნეზს;

გ ) დაავადების ანამნეზს;

დ ) გადატანილ და თანმხლებ

დაავადებებს;

\*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილს.

607. ისინჯება თუ არა ნორმაში სახის და კისრის ლიმფური კვანძები:

ა ) დიახ;

\*ბ) არა.

608. სწორად როგორ ჩავატარებ პალპაცია:

\*ა) სხეულის ჯანმრთელი ნაწილიდან

ავადმყოფისკენ;

ბ ) ავადმყოფი ნაწილიდან ჯანმრთელისკენ.

609. ბიზანუალური პალპაცია გამოიყენება:

ა ) ყბა-სახის მიდამოს პათოლოგიების ყველა შემთხვევაში;

ბ ) ყბა-სახის არეში არ გამოიყენება;

გ ) პირის ღრუს ფსკერის ქსოვილების

პათოლოგიის დროს;

დ ) ყბის ქვეშა სანერწყვე ჯირკვლების

დაავადების დროს;

ე ) პროცესის ლოკალიზაციის დროს მხოლოდ ლოყის არეში;

ვ ) ენისქვეშა სანერწყვე ჯირკვლების

დაავადების დროს;

\*ზ) სწორია გ; დ; ვ.

610. რენტგენოკინემატოგრაფია არის:

ა ) რენტგენოგრაფია - შორი მანძილიდან;

ბ ) რენტგენოგრაფია - მწოლიარე

მდგომარეობაში;

\*გ) მოძრაი ობიექტების R-გრაფია;

დ ) R-გრაფია მჯდომარე მდგომარეობაში;

ე ) R-გრაფიული გამოკვლევა, რომლის

დროსაც წყარო შეჰყავთ პირის ღრუში.

611. რეოდენტოგრაფია არის:

\*ა) კბილის პულების გამოკვლევა;

ბ ) პაროდონტის ქსოვილის გამოკვლევა.

612. სტომატოსკოპისათვის გამოიყენება

ა ) მეთილის ლურჯი;

ბ ) ბრილიანტის მწვანე;

\*გ) იოდის ხსნარი;

დ) იოდონატი.

613. ციტოლოგიური გამოკვლევისათვის მასალის ამორჩევის მეთოდებს წარმოადგენს:

ა ) პუნქციური;

ბ ) ასპირაციული;

გ ) ანაფსეკი;

დ ) ნაცხი, ანაბეჭდი;

\*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

**ყბა-სახის მიდამოს ანატომია**

614. ნიკაპის სერული მდებარეობს

ა ) ნიკაპის შემალღებაზე

ბ ) ნიკაპის ბორცვზე

გ ) ნიკაპის წვეტის არეში

\*დ) ქვედა ყბის სხეულის გარეთა ზედაპირზე

ე ) ქვედა ყბის ტოტის შიგნითა ზედაპირზე

615. ნიკაპის სერული მდებარეობს ქვედა ყბის

გარეთა ზედაპირზე

ა ) სიბრძნის კბილის საპროექციოდ

ბ ) მოლარების საპროექციოდ

\*გ) პრემოლარების საპროექციოდ

დ ) ეშვების საპროექციოდ

ე ) საჭრელების საპროექციოდ

616. ნიკაპის სერული იხსნება:

ა ) უკნიდან წინ, ზევიდან ქვევით, გარედან

შიგნით

\*ბ) წინიდან უკან, ქვევიდან ზევით, შიგნიდან

გარეთ

გ ) წინიდან უკან, ზევიდან ქვევით, გარედან

შიგნით

დ ) უკნიდან წინ, ქვევიდან ზევით, შიგნიდან

გარეთ

ე ) გარედან შიგნით

617. რამდენი ნიკაპის სერული აქვს ადამიანს

ა ) ერთი

\*ბ) ორი

გ ) სამი

დ ) ოთხი

ე ) არცერთი

618. ნიკაპის სერული ქვედა ყბის გარეთა

ზედაპირზე იხსნება:

ა ) ალვეოლური არხი

\*ბ) ქვედა ყბის არხი

გ ) საჭრელი არხი

დ ) საცრემლე არხი

ე ) ფრთა-სასის არხი

619. ქვედა ყბის სერული მდებარეობს:

ა ) ქვედა ყბის სხეულის გარეთა ზედაპირზე

ბ ) ქვედა ყბის სხეულის შიგნითა ზედაპირზე

გ ) ქვედა ყბის ტოტის გარეთა ზედაპირზე

\*დ) ქვედა ყბის ტოტის შიგნითა ზედაპირზე

ე ) ქვედა ყბის კუთხის არეში

620. ნიკაპის წვეტი მდებარეობს:

ა ) ნიკაპის შემალღებაზე

ბ ) ნიკაპის ბორცვზე

გ ) ნიკაპის წინა ზედაპირზე

\*დ) ქვედა ყბის სხეულის შიგნითა ზედაპირზე

ე ) ნიკაპის ქვედა კიდეზე

621. ნიკაპის ბორცვი მდებარეობს;

ა ) ნიკაპის შემალღებაზე

ბ ) ნიკაპის ქვედა კიდეზე

\*გ) ნიკაპის შემალღების გვერდზე (ლატერალურ მხარეზე)

დ ) ნიკაპის უკანა ზედაპირზე

ე ) ქვედა ყბის ალვეოლურ ნაწილზე

622. ნიკაპის შემალღება მდებარეობს:

\*ა) ქვედა ყბის სხეულის გარეთა ზედაპირზე

ბ ) ქვედა ყბის სხეულის შიგნითა ზედაპირზე

გ ) ნიკაპის ქვედა კიდეზე

დ ) ნიკაპის ბორცვზე

ე ) ნიკაპის წვეტზე

623. ირიბი ხაზი მდებარეობს:

ა ) ქვედა ყბის ტოტის გარეთა ზედაპირზე

ბ ) ქვედა ყბის ტოტის შიგნითა ზედაპირზე

გ ) რეტრომოლარულ სამკუთხედში

\*დ) ქვედა ყბის სხეულის გარეთა ზედაპირზე

ე ) ქვედა ყბის სხეულის შიგნითა ზედაპირზე

624. ყბა-ინის ხაზი მდებარეობს;

ა ) ქვედა ყბის შემალღებაზე

ბ ) ქვედა ყბის ყელის მიდამოში

გ ) ქვედა ყბის სხეულის გარეთა ზედაპირზე

\*დ) ქვედა ყბის სხეულის შიგნითა ზედაპირზე  
 ე) ქვედა ყბის ტოტზე  
 625. ყვრიმალ-ალვეოლის ქვედი ვრცელდება:  
 \*ა) ყვრიმალის ძვლის ქვედა კიდიდან პირველი მოლარის კბილბუდეზე  
 ბ) ყვრიმალის ძვლის ქვედა კიდიდან მესამე მოლარის კბილბუდეზე  
 გ) ყვრიმალის ძვლის ქვედა კიდიდან ეშვის მიმართულებით  
 დ) ყვრიმალის ძვლიდან ზედა ყბის ბორცვზე  
 ე) ყვრიმალის ძვლიდან ცხვირის წვეტამდე  
 626. ქვედა ყბის თავი მდებარეობს:  
 ა) ქვედა ყბის ალვეოლურ ნაწილზე  
 ბ) ქვედა ყბის გვირგვინოვან მორჩზე  
 \*გ) ქვედა ყბის როკისებრ მორჩზე  
 დ) ქვედა ყბის ამონაჭდევის არეში  
 ე) რეტრომოლარულ მიდამოში  
 627. რამდენი ქვედა ყბის ზვრელი აქვს ადამიანს:  
 ა) ერთი  
 \*ბ) ორი  
 გ) სამი  
 დ) ოთხი  
 ე) ხუთი  
 628. რამდენი ქვედა ყბის არხი აქვს ადამიანს  
 ა) ერთი  
 \*ბ) ორი  
 გ) სამი  
 დ) ოთხი  
 ე) ხუთი  
 629. რამდენი ტოტი აქვს ქვედა ყბას  
 ა) ერთი  
 \*ბ) ორი  
 გ) სამი  
 დ) ოთხი  
 ე) ხუთი  
 630. ქვედა ყბის მორჩებია  
 ა) გვირგვინოვანი, როკისებრი, ალვეოლური  
 \*ბ) გვირგვინოვანი, როკისებრი  
 გ) სასახსრე მორჩი, საფეთქლის მორჩი, ალვეოლური მორჩი  
 დ) საფეთქლის მორჩი, ყვრიმალის მორჩი  
 ე) ალვეოლური მორჩი ნაქი  
 631. ქვედა ყბის ფოსო მდებარეობს:  
 ა) ქვედა ყბის სხეულზე  
 ბ) ქვედა ყბის მორჩზე  
 გ) ზედა ყბაზე  
 \*დ) საფეთქლის ძვალზე  
 ე) სოლისებრ ძვალზე  
 632. ქვედა ყბის ფრთისებრი ფოსო მდებარეობს:  
 ა) ფრთისებრ ხორკლიანობაზე  
 ბ) გვირგვინოვან მორჩზე  
 \*გ) ქვედა ყბის ყელის არეში  
 დ) ნიკაპის შიგნითა ზედაპირზე  
 ე) რეტრომოლარულ არეში  
 633. ორმუცელა ფოსო მდებარეობს:  
 ა) ქვედა ყბის გვირგვინოვან მორჩზე  
 ბ) ქვედა ყბის როკისებრ მორჩზე  
 გ) რეტრომოლარულ არეში  
 \*დ) ნიკაპის შიგნითა ზედაპირზე  
 ე) ქვედა ყბის ყელის არეში  
 634. საღვჭი ხორკლიანობა მდებარეობს:

\*ა) ქვედა ყბის კუთხის არეში გარეთა ზედაპირზე  
 ბ) ქვედა ყბის კუთხის არეში შიგნითა ზედაპირზე  
 გ) ქვედა ყბის სხეულზე, მის გარეთა ზედაპირზე  
 დ) ქვედა ყბის სხეულის შიგნითა ზედაპირზე  
 ე) ნიკაპის გარეთა ზედაპირზე  
 635. სად მდებარეობს ფრთისებრი ხორკლიანობა?  
 ა) ქვედა ყბის კუთხის არეში გარეთა ზედაპირზე  
 \*ბ) ქვედა ყბის კუთხის არეში შიგნითა ზედაპირზე  
 გ) ყვრიმალის ძვალზე  
 დ) ყვრიმალის რკალზე  
 ე) ნიკაპის შიგნითა ზედაპირზე  
 636. ქვედა ყბას აქვს:  
 ა) ერთი მორჩი  
 ბ) ორი მორჩი  
 გ) სამი მორჩი  
 \*დ) ოთხი მორჩი  
 ე) ხუთი მორჩი  
 637. ქვედა ყბის მორჩებია:  
 ა) ალვეოლური, გვირგვინისებრი, როკისებრი  
 \*ბ) გვირგვინოვანი, როკისებრი  
 გ) სასახსრე მორჩი, ნიკაპის მორჩი ზედა ყბის მორჩი  
 დ) ალვეოლური მორჩი, ნიკაპის წვეტი, ქვედა ყბის ნაქი  
 ე) კბილბუდეთა მორჩი, სასახსრე მორჩი  
 638. ქვედა ყბის ნაწილებია:  
 \*ა) ალვეოლური ნაწილი, ბაზალური ნაწილი  
 ბ) ქვედა ყბის სხეული, ქვედა ყბის ტოტები  
 გ) როკისებრი მორჩი, გვირგვინოვანი მორჩი  
 დ) ქვედა ყბის ყელი, ქვედა ყბის თავი  
 ე) ქვედა ყბის არხი, ყბა-ინის ღარი  
 639. სად მდებარეობენ ზედა წინა ალვეოლური ზვრელები?  
 ა) თვალბუდისქვედა ღარის ქვედა კედელში  
 \*ბ) თვალბუდისქვედა არხის ქვედა კედელში  
 გ) ზედა ყბის წიაღის წინა კედელში  
 დ) ეშვის ფოსოში  
 ე) ზედა ყბის ბორცვის არეში  
 640. ზედა ყბის წიაღი ცხვირის ღრუში იხსნება:  
 \*ა) Hiatus maxilaris-ით  
 ბ) meatus nasi medius-ით  
 გ) kanalis naso-palatinus-ით  
 დ) kanalis infraorbitalis-ით  
 641. სად იხსნება ზედა ყბის წიაღი?  
 ა) ცხვირის ზედა გასავალში  
 \*ბ) ცხვირის შუა გასავალში  
 გ) ცხვირის ქვედა გასავალში  
 დ) პირის ღრუში  
 ე) თვალბუდეში  
 642. როგორი ფორმა აქვს ზედა ყბის წიაღს?  
 ა) ცილინდრული  
 ბ) სამკუთხა  
 გ) ოთხკუთხა  
 დ) ხუთკუთხა  
 \*ე) შერბუნებული პირამიდის  
 643. სად მდებარეობს torus palatinus?  
 ა) სასის ძვლის ვერტიკალურ ფირფიტაზე  
 ბ) სასის ძვლის ჰორიზონტალურ ფირფიტაზე



\*გ) სასის შუა ნაკერის გასწვრივ  
 დ) საჭრელი ნაკერის გასწვრივ  
 ე) სასის განივი ნაკერის გასწვრივ  
**644.** სად მდებარეობს სასის დიდი ხვერი?  
 \*ა) სასის მცირე ხვერების წინ  
 ბ) სასის მცირე ხვერების უკან  
 გ) სასის მცირე ხვერების მედიალურად  
 დ) სასის მცირე ხვერების ლატერალურად  
 ე) სასის მცირე ხვერებს შორის  
**645.** სასის დიდი ხვერი მდებარეობს:  
 ა) სასის ძვლის ვერტიკალურ ფირფიტაზე  
 \*ბ) სასის ძვლის პორიზონტალურ ფირფიტაზე  
 გ) ზედა ყბის ძვლის სასის მორჩზე  
 დ) სასის შემადგენელზე  
 ე) სასის ძვლის უკანა კიდეზე  
**646.** სად მდებარეობენ სასის მცირე ხვერები  
 ა) სასის ძვლის ვერტიკალურ ფირფიტაზე  
 \*ბ) სასის ძვლის პორიზონტალურ ფირფიტაზე  
 გ) სასის შემადგენელზე  
 დ) ზედა ყბის ძვლის სასის მორჩზე  
 ე) სასის ძვლის უკანა კიდეზე  
**647.** რამდენი მორჩი აქვს ყვრიმალის ძვალს  
 ა) ერთი  
 \*ბ) ორი  
 გ) სამი  
 დ) ოთხი  
 ე) არცერთი  
**648.** ყვრიმალის ძვლის მორჩებია  
 ა) სასის მორჩი, სოლისებრი მორჩი  
 \*ბ) შუბლის მორჩი, საფეთქლის მორჩი  
 გ) ზედა ყბის მორჩი, შუბლის მორჩი  
 დ) შუბლის მორჩი, ფრთხილი მორჩი  
 ე) ცხვირის მორჩი, თვალბუდის მორჩი  
**649.** რამდენი ზედაპირი აქვს ყვრიმალის ძვალს  
 ა) ერთი  
 ბ) ორი  
 \*გ) სამი  
 დ) ოთხი  
 ე) არცერთი  
**650.** ყვრიმალის ძვლის ზედაპირებია:  
 ა) სასის, ლოყის  
 \*ბ) თვალბუდის, საფეთქელქვედა, ლატერალური  
 გ) ფრთხილებრი, სასის, საფეთქლის  
 დ) სოლისებრი, სასის, საფეთქლის  
 ე) ზედა ყბის, სასის  
**651.** ფრთა-სასის ფოსოს მოსაზღვრავენ:  
 \*ა) სოლისებრი ძვალი, სასის ძვლის  
 პერპენდიკულარული ფირფიტა, ფრთხილებრი  
 მორჩი, ზედა ყბის ძვლის საფეთქელქვედა  
 ზედაპირი  
 ბ) სასის ძვლის პორიზონტალური ფირფიტა,  
 ცხვირის ძვალი, ზედა ყბის ძვლის თვალბუდის  
 ზედაპირი  
 გ) ყვრიმალის ძვლის ლატერალური ზედაპირი,  
 ზედა ყბის ბორცვი, ზედა ყბის სასის მორჩი  
 დ) ყვრიმალის ძვლის საფეთქელქვედა ზედაპირი,  
 სასის ძვალი, ყვრიმალის რკალი  
**652.** რით უკავშირდება ფრთა-სასის ფოსო  
 ცხვირის ღრუს?  
 \*ა) სოლისებრ-სასის ხვერლით  
 ბ) თვალბუდის ქვედა ნაპრალით  
 გ) თვალბუდის ზედა ნაპრალით  
 დ) თვალბუდის ქვედა არხით  
 ე) ზედა ყბის ხვერლით  
**653.** რით უკავშირდება ფრთა-სასის ფოსო ქალას

ფუძეს  
 ა) მრგვალი ხვერლით  
 \*ბ) ფრთხილებრი არხით  
 გ) ოვალური ხვერლით  
 დ) თვალბუდის ზედა ნაპრალით  
 ე) სწორია ყველა ჩამოთვლილი  
**654.** რით უკავშირდება ფრთა-სასის ფოსო ქალას  
 შუა ფოსოს?  
 \*ა) მრგვალი ხვერლით  
 ბ) ფრთხილებრი არხით  
 გ) ოვალური ხვერლით  
 დ) თვალბუდის ზედა ნაპრალით  
 ე) თვალბუდის ქვედა ნაპრალით  
**655.** რით უკავშირდება ფრთა-სასის ფოსო პირის  
 ღრუს  
 \*ა) სასის დიდი არხით  
 ბ) ფრთა-ზედა ყბის ნაპრალით  
 გ) თვალბუდის ქვედა არხით  
 დ) თვალბუდის ქვედა ღარით  
 ე) თვალბუდის ქვედა ხვერლით  
**656.** რით უკავშირდება ფრთა-სასის ფოსო  
 საფეთქელქვედა ფოსოს  
 ა) სასის დიდი ხვერლით  
 ბ) სასის მცირე ხვერლებით  
 გ) სოლისებრ-სასის ხვერლით  
 \*დ) ფრთა-ზედა ყბის ნაპრალით  
 ე) თვალბუდის ქვედა ნაპრალით  
**657.** რომელი ანატომიური  
 სტრუქტურებით იქმნება სოლისებრ-სასის  
 ხვერლი?  
 \*ა) სასის ძვლის თვალბუდის და  
 სოლისებრი მორჩებითა და სოლისებრი  
 ძვლის სხეულით  
 ბ) სოლისებრი ძვლით, სასის ძვლით და  
 ცხვირის ძვლით  
 გ) სოლისებრი ძვლით, სასის ძვლითა და  
 სახნისით  
 დ) ფრთხილებრი მორჩით, სოლისებრი  
 ძვლით და საფეთქლის ძვლით  
 ე) სასის ძვლით, სოლისებრი ძვლით და  
 საფეთქლის ძვლით  
**658.** ძირითადი საღეჭი კუნთებია:  
 \*ა) საკუთრივ საღეჭი კუნთი, ფრთხილებრი  
 კუნთები, საფეთქლის კუნთი  
 ბ) საღეჭი კუნთი, მედიალური  
 ფრთხილებრი კუნთი, ლოყის კუნთი  
 გ) საკუთრივ საღეჭი კუნთი, ლოყის  
 კუნთი, ტუჩის ირგვლივი კუნთი  
 დ) ნიკაბ-ინის, ნიკაბ-ინის კუნთები  
**659.** დამხმარე საღეჭი კუნთებია:  
 ა) სადგის-ინის კუნთი  
 \*ბ) ნიკაბ-ინის, ყბა-ინის, ორმუცელა  
 კუნთები  
 გ) ყბა-ინის, ენა-ინის, ნიკაბ-ინის კუნთები  
 დ) ლოყის-ყვრიმალის, სასის კუნთები  
**660.** ქვედა ყბის უკან გადანაცვლებამში  
 მონაწილეობენ:  
 \*ა) საფეთქლის კუნთი  
 ბ) ფრთხილებრი კუნთები  
 გ) ორმუცელა კუნთის უკანა მუცელი  
 დ) ყბა-ინის კუნთი  
 ე) ენა-ინის კუნთი  
**661.** ქვედა ყბის წინ წამოწევაში  
 მონაწილეობენ:  
 ა) საღეჭი კუნთი

ბ ) საფეთქლის კუნთი

გ ) ყბა-ინის კუნთი

დ ) ნიკაპ-ენის კუნთი

\*ე) ფრთისებრი კუნთები

662. ქვედა ყბის გვერდზე

გადანაცვლებლაში მონაწილეობენ:

ა ) ორმუცელა კუნთი

ბ ) ყბა-ინის კუნთი

\*გ) ფრთისებრი კუნთები

დ ) საღეჭი კუნთი

ე ) საფეთქლის კუნთი

663. ლატერალური ფრთისებრი კუნთის

უკანა ბოლო უმაგრდება:

ა ) ქვედა ყბის გვირგვინოვან მორჩს

ბ ) ქვედა ყბის ტოტის შიგნითა ზედაპირს

\*გ) ქვედა ყბის ფრთისებრ ორმოსა

სასახსრე დისკს და სასახსრე ჩანთას

დ ) ქვედა ყბის თავს

ე ) ქვედა ყბის ტოტის გარეთა ზედაპირს

664. მედიალური ფრთისებრი კუნთის

ქვედა ბოლო უმაგრდება;

ა ) ქვედა ყბის უკანა კიდე

ბ ) ქვედა ყბის ქვედა კიდე

გ ) ქვედა ყბის ტოტის გარეთა ზედაპირს

კუთხის არეში

\*დ) ქვედა ყბის ტოტის შიგნითა ზედაპირს

კუთხის არეში

ე ) ფრთისებრ მორჩს

665. საღეჭი კუნთის ქვედა ბოლო უმაგრდება:

ა ) ქვედა ყბის ქვედა კიდე

ბ ) ქვედა ყბის უკანა კიდე

გ ) ქვედა ყბის შიგნითა ზედაპირს

დ ) ყვრიმალის ძვალს

\*ე) ქვედა ყბის საღეჭ ხორკლიანობას

666. სამწვრა ნერვის ტოტებია:

ა ) სახის ნერვი, სამწვრა ნერვი, ენის ნერვი

ბ ) მხედველობის ნერვი, ქვედა ყბის ნერვი,

ენისქვეშა ნერვი

გ ) თვალის ნერვი, ენა-სახის ნერვი, ქვედა ყბის

ნერვი

\*დ) თვალის ნერვი, ზედა ყბის ნერვი, ქვედა

ყბის ნერვი

ე ) თვალბუდის ქვედა ნერვი, ცდომილი ნერვი

667. ზედა ყბის ნერვის ტოტებია:

ა ) თვალბუდისქვედა ნერვი, თვალბუდის ზედა

ნერვი, შუბლის ნერვი

ბ ) ჭალზედა ნერვი, ჭალქვეშა ნერვი, ზედა უკანა

ალვეოლური ნერვები, ფრთა-სასის ნერვები

\*გ) თვალბუდის ქვედა ნერვი, ზედა უკანა

ალვეოლური ნერვები, ფრთა-სასის ნერვები

დ ) სახის ნერვი, ლოყის ნერვი, სასის დიდი

ნერვი, ცდომილი ნერვი

668. ქვედა ყბის ნერვის ტოტებია:

ა ) კბილბუდეთა ქვედა, ენის, თვალბუდის

ქვედა ნერვები

\*ბ) ქვედა ალვეოლური, ენის, ლოყის ნერვები

გ ) ყბა-ინის, ნიკაპ-ინის, ყურ-საფეთქლის

ნერვები

დ ) ენის, ენისქვეშა, ენა-სახის ნერვები

ე ) ნიკაპის, ორმუცელა, საღეჭი, სახის ნერვები

669. რომელი ნერვი ანერვებს ენის წინა ორი

მესამედის ლორწოვან გარსს

ა ) ენისქვეშა ნერვი

ბ ) ენა-სახის ნერვი

\*გ) ენის ნერვი

დ ) ნიკაპის ნერვი

ე ) საჭრელი ნერვი

670. რომელი ნერვი ანერვებს ენის უკანა

მესამედის ლორწოვან გარსს

ა ) ენისქვეშა ნერვი

\*ბ) ენა-სახის ნერვი

გ ) ენის ნერვი

დ ) ნიკაპის ნერვი

ე ) საჭრელი ნერვი

671. რომელი ნერვი ანერვებს ქვედა ტუჩის

კანსა და ლორწოვან გარსს

ა ) კბილბუდეთა ქვედა ნერვი

ბ ) საჭრელი ნერვი

\*გ) ნიკაპის ნერვი

დ ) ენის ნერვი

ე ) ლოყის ნერვი

672. რომელი ნერვი ანერვებს ქვედა

პრემოლარებსა და მოლარებს:

\*ა) კბილბუდეთა ქვედა ნერვი

ბ ) ნიკაპის ნერვი

გ ) ქვედა ყბის ნერვი

დ ) ენის ნერვი

ე ) ყბა-ინის ნერვი

673. რომელი ნერვი ანერვებს ღრძილის

ლორწოვანს ქვედა მეორე პრემოლარიდან მეორე

მოლარამდე ვესტიბულური მხრიდან

ა ) კბილბუდეთა ქვედა ნერვი

\*ბ) ლოყის ნერვი

გ ) ნიკაპის ნერვი

დ ) ენა-სახის ნერვი

ე ) ყბა-ინის ნერვი

674. რომელი ნერვი ანერვებს სასის ლორწოვან

გარსს მესამედან მერვე კბილამდე საპროექციოდ

ა ) სასის მცირე ნერვები

ბ ) ხვირ-სასის ნერვი

\*გ) სასის დიდი ნერვი

დ ) ზედა ალვეოლური ნერვები

ე ) თვალბუდის ქვედა ნერვი

675. რომელი ნერვი ანერვებს სასის ლორწოვან

გარსს ეშვიდან საჭრელამდე

ა ) საჭრელი ნერვი

\*ბ) ცხვირ-სასის ნერვი

გ ) თვალბუდისქვედა ნერვი

დ ) ზედა წინა ალვეოლური ნერვი

ე ) სასის დიდი ნერვი

676. რომელი ნერვის ტოტია ენის ნერვი

ა ) ენა-სახის ნერვის

ბ ) ენისქვეშა ნერვის

გ ) კბილბუდეთა ქვედა ნერვის

\*დ) ქვედა ყბის ნერვის

ე ) სახის ნერვის

677. რომელი ნერვის ტოტია ყბა-ინის ნერვი

ა ) ქვედა ყბის ნერვის

\*ბ) ქვედა ალვეოლური ნერვის

გ ) ენის ნერვის

დ ) ენისქვეშა ნერვის

ე ) ენა-სახის ნერვის

678. რომელი ნერვის ტოტია ნიკაპის ნერვი

ა ) ქვედა ყბის ნერვის

\*ბ) ქვედა ალვეოლური ნერვის

გ ) ენის ნერვის

დ ) ენა-სახის ნერვის

ე ) ენისქვეშა ნერვის

679. რომელი ნერვის ტოტია ქვედა ალვეოლური

ნერვი

\*ა) ქვედა ყბის ნერვის

ბ) ყბა-ინის ნერვის

გ) ენის ნერვის

დ) ნიკაპის ნერვის

ე) სახის ნერვის

680. რომელი ნერვის ტოტია ქვედა ყბის ნერვი

ა) ზედა ყბის ნერვის

ბ) ქვედა ალვეოლური ნერვის

გ) სახის ნერვის

\*დ) სამწვერა ნერვის

ე) ლოყის ნერვის

681. ზედა ყბის ნერვის ტოტებია;

ა) მუბლის ნერვი, თვალბუდისქვედა ნერვი,

თვალბუდისზედა ნერვი

ბ) ზედა ალვეოლური ნერვი, ჭალზედა ნერვი,

ჭალქვედა ნერვი

\*გ) ფრთა-სასის ნერვები, ზედა უკანა

ალვეოლური ნერვები, თვალბუდის ქვედა ნერვი

დ) სასის დიდი ნერვი, ლოყის ნერვი, სახის ნერვი

ე) ცხვირ-სასის ნერვი, სასის მცირე ნერვები,

ცდომილი ნერვი

682. რომელი ნერვი ანერვებს რბილი სასის

ლორწოვან გარსს

ა) სასის დიდი ნერვი

ბ) ცხვირ-სასის ნერვი

\*გ) სასის მცირე ნერვები

დ) თვალბუდისქვედა ნერვი

ე) ზედა ალვეოლური ნერვები

683. რომელი ნერვი ანერვებს ზედა

მოლარებს

ა) სასის დიდი ნერვი

ბ) სასის მცირე ნერვები

გ) ცხვირ-სასის ნერვი

\*დ) ზედა უკანა ალვეოლური ნერვები

ე) ზედა წინა ალვეოლური ნერვი

684. რომელი ნერვი ანერვებს ზედა

პრემოლარებს

ა) სასის დიდი ნერვი

ბ) ცხვირ-სასის ნერვი

გ) ზედა უკანა ალვეოლური ნერვები

\*დ) ზედა შუა ალვეოლური ნერვი

ე) თვალბუდის ქვედა ნერვი

685. რომელი ნერვი ანერვებს ზედა

საჭრლებს

ა) სასის დიდი ნერვი

ბ) თვალბუდისზედა ნერვი

გ) თვალბუდისქვედა ნერვი

დ) ზედა უკანა ალვეოლური ნერვები

\*ე) ზედა წინა ალვეოლური ნერვები

686. კბილთა ზედა წნულს ქმნიან

ა) ლოყისა და ცხვირ-სასის ნერვები

ბ) სასის დიდი მცირე და

თვალბუდისქვედა ნერვები

\*გ) ზედა უკანა, შუა და წინა ალვეოლური

ნერვები

დ) მუბლის, თვალბუდისზედა და

თვალბუდისქვედა ნერვები

ე) ლოყის, ფრთა სასის და ყვრიძალის

ნერვები

687. რომელი ნერვი გამოდის ქალას

ფუძეზე მრგვალი ხერეულით

\*ა) ზედა ყბის ნერვი

ბ) ქვედა ყბის ნერვი

გ) თვალბუდის ნერვი

დ) ენა-ხახის ნერვი

ე) ლოყის ნერვი

688. ოვალური ხერეულით ქალას ფუძეზე

გამოდის:

ა) ზედა ყბის ნერვი

ბ) მხედველობის ნერვი

\*გ) ქვედა ყბის ნერვი

დ) ენა-ხახის ნერვი

ე) ენისქვედა ნერვი

689. ქვედა ყბის არხში მდებარეობს

\*ა) კბილბუდეთა ქვედა ნერვი

ბ) ნიკაპის ნერვი

გ) ყბა-ინის ნერვი

დ) ქვედა ყბის ნერვი

ე) ენის ნერვი

690. სად იხსნება საჭრელი არხი საჭრელი

ფოსოთი

\*ა) ძვლოვან სასაზე პირის ღრუში

ბ) ცხვირის ლუში

გ) ჰამორის ლუში

დ) თვალბუდეთი

ე) ფრთა-სასის ფოსოში

**გაუტკივარების მეთოდები ქირურგიულ**

**სტომატოლოგიაში**

691. ყველაზე ხანგრძლივი მოქმედებით

გამოირჩევა შემდეგი ადგილობრივი

საანესთეზიო საშუალება:

ა) ტრიმეკანი;

ბ) ნოვოკანი;

გ) ლიდოკანი;

\*დ) მარკანი, ანაკანი.

692. ინჰალაციური ნარკოზის დროს

გამოიყენება:

ა) კალიფორნი;

\*ბ) ფტოროტანი;

გ) დროპერიდოლი;

დ) ნატრიუმის ოქსიბუტირატი.

693. არაინჰალაციური ნარკოზის ხერხს

წარმოადგენს:

ა) ნილბით ნარკოზი;

\*ბ) ინტრავენური;

გ) ენდორტაქვალური.

694. არაინჰალაციური ნარკოზისათვის

გამოიყენება:

ა) ეთერი;

ბ) ფტოროტანი;

\*გ) სომბრეინი;

დ) აზოტის ქვეჟანგი.

695. არაინჰალაციური ნარკოზისათვის

გამოიყენება:

ა) ეთერი;

\*ბ) კეტამინი;

გ) ქლოროფორმი;

დ) აზოტის ქვეჟანგი.

696. ხანგრძლივი და ტრავმული ოპერაციების

დროს გამოიყენება შემდეგი ნარკოზი:

ა) ნილბით;

ბ) ინტრავენური;

გ) ელექტრონარკოზი;

\*დ) ენდორტაქვალური.

697. ნეიროლეპტანალგეზის დროს

გამოიყენებული პრეპარატები:

ა) პრომედოლი, ტრენტალი;

ბ) ციკლოპროპანი, მორფინი;

გ) ჰექსენალი, სომბრეინი;

დ) დიპიდოლორი, პენტალგინი;

\*ე) ფენტანილი, დროპერიდოლი.  
698. ათარალგეზია ეწოდება:  
\*ა) ნეიროლეპტანალგეზიის სახესხვაობას;  
ბ) გაუტკივარების დამოუკიდებელ საშუალებას;  
გ) ინჰალაციური ნარკოზის ჩატარების საშუალებას;  
დ) არაინჰალაციური ნარკოზის ჩატარების საშუალებას.  
699. ზოგადი გაუტკივარების ჩატარების ჩვენებას წარმოადგენს:  
ა) ოპერაციის ტრავმატულობა;  
ბ) ჩარევის ხანგრძლივობა;  
გ) ავადმყოფის გაუწონასწორებელი ფსიქიკა.  
\*დ) სწორია ყველა ჩამოთვლილი  
700. ზოგადი გაუტკივარების ჩატარების უეჭურვებებს წარმოადგენს:  
\*ა) საესე კუჭი;  
ბ) ადგილობრივ საანესთეზიო საშუალებებზე აღურვია;  
გ) ავადმყოფის გაუწონასწორებელი ფსიქიკა.  
701. ქვედა ყბა ინერვირდება სამწვერა ნერვის შემდეგი ტოტით:  
ა) I;  
ბ) II;  
\*გ) III.  
702. ზედა ყბა ინერვირდება სამწვერა ნერვის შემდეგი ტოტით:  
ა) I;  
\*ბ) II;  
გ) III.  
703. ზედა ყბის ნერვი ქალას ღრუდან გამოდის:  
ა) საძილე სერელით;  
ბ) ოვალური სერელით;  
გ) ძვლოვანი სერელით;  
\*დ) მრგვალი სერელით.  
704. ტუბერული ანესთეზიის დროს ბლოკირდება შემდეგი ზედა ალვეოლარული ტოტები:  
\*ა) უკანა;  
ბ) შუა;  
გ) წინა.  
705. ინფრაორბიტალური ანესთეზიის დროს ხდება შემდეგი ზედა ალვეოლარული ტოტების ბლოკადა:  
ა) შუა და უკანა;  
ბ) წინა და უკანა;  
\*გ) წინა და შუა.  
706. სასის დიდი სერელის მიდამოს ანესთეზიის დროს ხდება ბლოკადა  
ა) ცხვირ-სასის ნერვის;  
\*ბ) სასის დიდი ნერვის;  
გ) შუა ზედა ყბის წნულის.  
707. სასის დიდი სერელის მიდამოს ანესთეზიის დროს გაუტკივარების ზონაში შედის ალვეოლური ლორწოვანი გარსი მესამე მოლარინდან და ვრცელდება:  
\*ა) ეშვამდე;  
ბ) პირველ საჭრელ კბილამდე;  
გ) პირველ პრემოლარამდე.  
708. საჭრელი სერელის მიდამოს ანესთეზიის დროს გაუტკივარების ზონაში შედის ალვეოლური მორჩის ლორწოვანი გარსი საჭრელი კბილებიდან ეშვამდე:  
\*ა) სასის მხრიდან;  
ბ) ვესტიბულარული მხრიდან;

გ) ვესტიბულარული და სასის მხრიდან.  
709. ქვედა ყბის ნერვი ქალას ღრუდან გამოდის შემდეგი სერელის საშ-ით:  
ა) საძილე;  
ბ) მრგვალი;  
\*გ) ოვალური;  
დ) ძვლოვანი.  
710. პირშიგნითა სერხით მანდიბულური ანესთეზიის ჩატარებისას ანატომიურ ორიენტირს წარმოადგენს:  
ა) მოლარები;  
ბ) საფეთქლის ქედი;  
გ) მოლარის უკანა ფოსო;  
დ) ფრთისებრ-ქვედა ყბის ნაოჭი;  
\*ე) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.  
711. მანდიბულარული ანესთეზიის პირგარეთა სერხს მიეკუთვნება გაუტკივარება:  
ა) ტოროსალური;  
ბ) ყვრიმალქვედა ევოროვის მიხედვით;  
\*გ) ქვედაყბის ქვეშა არედან.  
712. ტოროსალური ანესთეზიით ხდება შემდეგი ნერვების ბლოკადა:  
ა) ენის და ლოყის;  
ბ) ენის და ქვედა ალვეოლური;  
\*გ) ენის, ლოყის და ქვედა ალვეოლური;  
დ) ენის, ქვედა ალვეოლური და ნიკაპის.  
713. ქვედა ყბის ნერვის ღეროვანი ანესთეზია ტარდება:  
ა) საძილე სერელთან;  
\*ბ) ოვალურ სერელთან;  
გ) ძვლოვან სერელთან;  
დ) მრგვალ სერელთან.  
714. ქვედა ყბის ნერვის მამოძრავებელი ბოჭკოების გამოთიშვა ტარდება:  
ა) ნაწიბუროვანი კონტრაქტურის დროს;  
ბ) ყვრიმალის ძვლის ჩასწორებისას;  
\*გ) ანთეზადი კონტრაქტურის დროს.  
715. ბერშეს მეთოდის ჩატარების მიზანს წარმოადგენს შემდეგი ნერვების ბლოკადა:  
ა) ენის და ქვედა ალვეოლური;  
ბ) ენის, ლოყის და ქვედა ალვეოლური;  
\*გ) სამწვერა ნერვის მამოძრავებელი ტოტის.  
716. ღეროვანი ანესთეზია ნაჩვენებია ყბის ძვლებზე შემდეგი ჩარევისას:  
ა) ნაკლებად ტრავმული;  
\*ბ) ხანგრძლივი ჩარევისას;  
გ) ტრავმული და ხანგრძლივი ოპერაციების დროს.  
717. ღეროვანი ანესთეზიის დროს გაუტკივარების ზონა მოიცავს:  
ა) კბილებს;  
\*ბ) ნახევარ ყბას;  
გ) ყბის ლორწოვან გარსს.  
718. ზედა ყბის ნერვის ღეროვანი ანესთეზია ტარდება:  
ა) საძილე სერელთან;  
ბ) ოვალურ სერელთან;  
გ) ძვლოვან სერელთან;  
\*დ) მრგვალ სერელთან.  
719. სამწვერა ნერვის II და III ტოტის ღეროვანი ანესთეზიის ჩატარებისას ორიენტირს წარმოადგენს:  
ა) საფეთქელქვედა ქედი;

ბ ) საღებავი კუნთის წინა კიდე;  
\*გ ) სოლისებური ძვლის ფრთისებრი მორჩის გარეთა ფირფიტა.

720. ღეროვანი ანესთეზიის დროს გამოიყენება შემდეგი სიგრძის ნემსი:

ა ) 3-4 სმ;

\*ბ) 7-8 სმ;

გ ) 10-15 სმ.

721. ვაისბლატის მიხედვით ზედა ყბის ნერვის ანესთეზიის დროს ნემსის ჩხვლეტის ორიენტირს წარმოადგენს:

ა ) სასახსრე ბორცვი;

ბ ) ყვრიმალ-ალვეოლური ქედი;

\*გ) ტრავოორბიტალური ხანის შუა წერტილი.

722. ადგილობრივი ანესთეზიის უშუალო ზოგად გართულებას წარმოადგენს:

\*ა) გულის წასვლა;

ბ ) ჰემატომა;

გ ) კონტრაქტურა.

723. გამტარებლობითი ანესთეზიის ადგილობრივი გართულებები:

\*ა) ნევრიტი;

ბ ) ნევრაღია;

გ ) ვაზოპათია.

724. საანესთეზიო საშუალების გადამეტ. დოზების დროს წარმოშობილი ზოგადი გართულება:

ა ) ტრიზმი;

\*ბ) მოტორული ავზნება, კრუნჩხვები;

გ ) საანესთეზიო ნივთ-ბის შეყვანის ადგილის ჰიპერემია.

725. გულის წასვლა ესაა:

ა ) სისხლძარღვოვანი უკმარისობის გამოვლენა ცნობიერების შენახვით;

ბ ) ანტიგენზე ალერგიული რეაქცია;

\*გ) გონების დაკარგვა კუნთოვანი ატონიით.

726. კოლაფსის დროს ცნობიერება:

\*ა) შენახულია;

ბ ) არ არის შენახული.

727. კოლაფსი ესაა:

ა ) ალერგიული რეაქცია ანტიგენზე;

ბ ) ცნობიერების დაკარგვა კუნთოვანი ატონიით;

\*გ) მწვავე სისხლძარღვოვანი უკმარისობის გამოვლენა ცნობიერების შენახვით.

728. კოლაფსის დროს კანის საფარველი:

ა ) მშრალია და ფერმკრთალი;

\*ბ) სველია, მკრთალი;

გ ) მშრალია, ჰიპერემიული;

დ ) სველია, ჰიპერემიული.

729. პულსი კოლაფსის დროს:

\*ა) ხშირი, ძაფისებური;

ბ ) ძაფისებური, გაიშვიათებული;

გ ) ხშირი, კარგი ავსების.

730. არტერიული წნევა კოლაფსის დროს:

ა ) მომატებულია;

\*ბ) დაქვეითებულია.

731. სუნთქვა კოლაფსის დროს:

ა ) ღრმა;

\*ბ) ზედაპირული.

732. საანესთეზიო საშუალებების შეყვანით გამოწვეულ ანაფილაქსიურ შოკზე ეჭვის შემთხვევაში ჩატარებული თერაპია უნდა მოიცავდეს შემდეგ პრეპარატებს:

ა ) ანალეპტიკები;

ბ ) ჰორმონალური;

გ ) ანტიჰისტამინური;

დ ) ანტიჰისტამინური და ანალეპტიკები;

\*ე) ანტიჰისტამინური და ჰორმონალური.

733. ანაფილაქსიური შოკი ესაა:

ა ) ცნობიერების დაკარგვა კუნთოვანი ტონუსის არარსებობით;

\*ბ) ანტიგენზე განსაკუთრებით მძიმე ალერგიული რეაქცია;

გ ) სისხლძარღვოვანი უკმარისობის გამოვლენა ცნობიერების შენახვით.

734. გულის არაპირდაპირი მასაჟის ჩატარების დროს ბიძგების რაოდენობა ერთ წუთში:

ა ) 30;

\*ბ) 60;

გ ) 90.

735. გულის არაპირდაპირი მასაჟის დროს რენიმატოლოგის ხელეში მდებარეობს:

ა ) ეპიგასტრიუმზე;

\*ბ) მკერდის ძვლის ქვედა მესამედში.

736. კლინიკური სიკვდილის დადგომისას ინტრაკარდიალურად შეყავთ ადრენალინის ჰიდროქლორიდის ხსნარი შემდეგი კონცენტრაციით:

ა ) 1%;

ბ ) 10%;

\*გ) 0,1%.

**კბილის ამოღების ოპერაცია**

737. ჩვენებას კბილის ამოღებისათვის წარმოადგენს:

ა ) მწვავე პულპიტი;

ბ ) ღრმა კარიესი;

გ ) მწვავე პერიოდონტიტი;

დ) ქრ. გრანულომატოზური პერიოდონტიტი.

\*ე) მესამე ხარისხით მორყეული კბილი

738. პირდაპირი მამით იღებენ:

ა ) მოლარებს;

ბ ) პრემოლარებს;

გ ) სიბრძნის კბილებს;

\*დ) ზედა ყბის საჭრელებს;

ე ) ქვედა ყბის საჭრელ კბილებს.

739. S-ის მაგვარი სადა ლოყებიანი მამებით იღებენ:

ა ) კბილის ფესვებს;

ბ ) ქვედა ყბის მოლარებს;

გ ) ზედა ყბის მოლარებს;

\*დ) ზედა ყბის პრემოლარებს;

ე ) ქვედა ყბის მესამე მოლარებს.

740. კბილებიანი S-ის მაგვარი მამით იღებენ:

ა ) საჭრელებს;

ბ ) ზედა ყბის მესამე მოლარებს;

\*გ) ზედა ყბის მოლარებს;

დ ) ზედა ყბის პრემოლარებს;

ე ) ქვედა ყბის მესამე მოლარებს.

741. ხიშტივებული მამებით იღებენ:

ა ) ქვედა ყბის საჭრელებს;

ბ ) ზედა ყბის მოლარებს;

გ ) ქვედა ყბის პრემოლარებს;

\*დ) ზედა ყბის ფესვებს და პრემოლარებს;

ე ) ქვედა ყბის მესამე მოლარს.

742. თანმხვედრი ლოყების მქონე ნისკარტის მაგვარი მამებით იღებენ:

ა ) ქვედა ყბის საჭრელებს;

ბ ) ქვედა ყბის მოლარებს;

- გ ) ზედა ყბის პრემოლარებს;
- დ ) ზედა ყბის მესამე მოლარებს;
- \*ე) ქვედა ყბის კბილების ფესვებს.

743. არათანმხვედრი მომრგვალებული ლოყების მქონე ნისკარტისმაგვარი მამუბით იღებენ ქვედა ყბის კბილებს:

- ა ) საჭრელები;
- ბ ) მოლარები;
- \*გ) პრემოლარები;
- დ ) კბილის ფესვები.

744. ქვედა ყბაზე კუთხისქვეშა ელევატორით იღებენ:

- ა ) ეშვებს;
- ბ ) საჭრელებს;
- გ ) პრემოლარებს;
- \*დ) კბილის ფესვებს.

745. ხიშტისებური ელევატორით (ლეკლეუზის გასაღები). იღებენ ქვედა ყბის შემდეგ კბილებს:

- ა ) ეშვი;
- ბ ) საჭრელი;
- გ ) პრემოლარი;
- დ ) I მოლარი;
- ე ) II მოლარი;
- \*ვ) III მოლარი.

746. კბილის ამოღების ოპერაციის დროს გართულებას მიეკუთვნება:

- ა ) ჰემორიტი;
- ბ ) პერიოსტიტი;
- გ ) ალვეოლიტი;
- დ ) ოსტეომიელიტი;

\*ე) გვირგვინის მოტეხვა, ფესვის მოტეხვა.

747. გართულებას, რომელიც თან სდევს უშუალოდ კბილის ამოღების ოპერაციას, მიეკუთვნება:

- ა ) პაროტიტი;
- \*ბ) სისხლდენა;
- გ ) სამწვერა ნევრის ნევრალგია;
- დ ) საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ართრიტი;

ე ) საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ანკილოზი.

748. შესაძლო გართულებებს კბილის ამოღების ოპერაციის დროს მიეკუთვნება:

- ა ) პაროტიტი;
- ბ ) სამწვერა ნევრის ნევრალგია;
- \*გ) ზედაყბის წიაღის ფსკერის პერფორაცია;
- დ ) საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ართრიტი;

ე ) საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ანკილოზი.

749. კბილის ამოღების ოპერაციის დროს შესაძლო გართულებებს მიეკუთვნება:

- ა ) პაროტიტი;
- \*ბ) ზედა ყბის ბორცვის ატეხვა;
- გ ) სამწვერა ნევრის ნევრალგია;
- დ ) საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ართრიტი;

ე ) საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ანკილოზი.

750. ქვედა ყბის III მოლარის ამოღების ოპერაციის დროს შესაძლო გართულებებს მიეკუთვნება:

- ა ) სინუსიტი;

- ბ ) პერიოსტიტი;
- გ ) ოსტეომიელიტი;
- \*დ) ქვედა ყბის მოტეხილობა.

751. კბილის ამოღების ოპერაციის დროს ზოგად სომატურ გართულებებს მიეკუთვნება:

- ა ) ენურეზი;
- ბ ) სინუსიტი;
- გ ) ალვეოლიტი;
- დ ) ოსტეომიელიტი;
- \*ე) ჰიპერტონული კრიზი.

752. ზოგად სომატურ გართულებებს კბილის ექსტრაქციის დროს მიეკუთვნება:

- ა ) ენურეზი;
- ბ ) სინუსიტი;
- გ ) ალვეოლიტი;
- დ ) ოსტეომიელიტი;
- \*ე) ანაფილაქსიური შოკი.

753. ზოგად სომატურ გართულებებს კბილის ამოღების ოპერაციის დროს მიეკუთვნება:

- ა ) ენურეზი;
- ბ ) სინუსიტი;
- \*გ) გულის წასვლა;
- დ ) ალვეოლიტი;
- ე ) ოსტეომიელიტი.

754. კბილის ამოღების ოპერაციის დროს ზოგად სომატურ გართულებებს მიეკუთვნება:

- ა ) ენურეზი;
- ბ ) სინუსიტი;
- \*გ) კოლაფსი;
- დ ) ალვეოლიტი;
- ე ) ოსტეომიელიტი.

755. კბილის ამოღების ოპერაციის შემდეგ ადგილობრივი ხასიათის შორეულ გართულებებს მიეკუთვნება:

- ა ) ენურეზი;
- ბ ) მხოზიტი;
- გ ) კოლაფსი;
- დ ) ნევრალგია;
- \*ე) ოსტეომიელიტი.

756. ადგილობრივი ხასიათის შორეული გართულებები ზედა ყბის კბილების ამოღების შემდეგ:

- ა ) ენურეზი;
- ბ ) მხოზიტი;
- გ ) კოლაფსი;
- \*დ) ჰემორიტი;
- ე ) ნევრალგია.

757. ზედა ყბის საჭრელი კბილების ამოსაღებ მაშებს ეწოდება:

- ა) ხიშტისებური;
- \*ბ ) პირდაპირი;

გ ) ფესვის ნისკარტისებური;- დ ) S-ის მაგვარი არათანმხვედრი ლოყებით.

758. ზედა ყბის ეშვების ამოსაღებ მაშებს ეწოდება:

- \*ა) პირდაპირი ფართო ნისკარტით;
- ბ ) ფესვის სწორი;
- გ ) წვეტის მქონე S-ის მაგვარი;
- დ ) ფესვის ნისკარტისებური;
- ე ) ერთ სიბრტყეზე გაღუნული.

759. ზედა ყბის პრემოლარების ამოსაღებ მაშას ეწოდება:

- ა ) ფესვის პირდაპირი;

ბ) წვეტის მქონე S-ის მაგვარი;  
გ) ფესვის ნისკარტისებური;  
დ) სიბრტყეზე გაღუნული;  
\*ე) S - ის მაგვარი არათანმხვედრი ლოყებით.  
760. ზედა ყბის I და II მარჯვენა მოლარების ამოსაღები მამა:

- ა) S-ის მაგვარი თანმხვედრი ლოყებით;
- \*ბ) S-ის მაგვარი წვეტით მარცხნივ;
- გ) S-ის მაგვარი არათანმხვედრი ლოყებით;
- დ) S-ის მაგვარი წვეტით მარჯვნივ.

761. ზედა ყბის I და II მარცხენა მოლარის ამოსაღები მამა:

- ა) S-ის მაგვარი თანმხვედრი ლოყებით;
- ბ) S-ის მაგვარი წვეტით მარცხნივ;
- გ) S-ის მაგვარი არათანმხვედრი ლოყებით;
- \*დ) S-ის მაგვარი წვეტით მარჯვნივ.

762. ზედა ყბის მესამე მოლარის ამოსაღებ მამას ეწოდება:

- ა) პირდაპირი;
- ბ) S-ის მაგვარი ლოყაზე წვეტით;
- გ) S-ის მაგვარი თანმხვედრი ლოყებით;
- დ) ხიშტისებური და თანმხვედრი ლოყებით;
- \*ე) ხიშტისებური არა თანხვედრი და მომრგვალებული ლოყებით.

763. ზედა ყბის საჭრელი კბილების ფესვების ამოსაღებ მამას ეწოდება:

- ა) ნისკარტისებური;
- \*ბ) პირდაპირი თანმხვედრი ლოყებით;
- გ) S-ის მაგვარი თანმხვედრი ლოყებით;
- დ) S-ის მაგვარი წვეტით მარჯვნივ;
- ე) S-ის მაგვარი არათანმხვედრი ლოყებით.

764. ზედა ყბის საჭრელი კბილების ფესვების ამოსაღებ ინსტრუმენტს ეწოდება:

- \*ა) პირდაპირი ელევატორი;
- ბ) ნისკარტისებური მამა;
- გ) ნისკარტისებური მამა წვეტით;
- დ) S-ის მაგვარი თანმხვედრი ლოყებით;
- ე) S-ის მაგვარი არათანმხვედრი ლოყებით.

765. ქვედა ყბის საჭრელი კბილების ამოსაღებ მამას ეწოდება:

- ა) ნისკარტისებური - თანმხვედრი ლოყებით;
- \*ბ) ნისკარტისებური - არათანმხვედრი ლოყებით;
- გ) S-ის მაგვარი მამა კბილით;
- დ) ხიშტისებური მამა თანმხვედრი ლოყებით.

766. ქვედა ყბის ეშვების ამოსაღებ მამას ეწოდება:

- ა) ნისკარტისებური - თანმხვედრი ლოყებით;
- ბ) S-ის მაგვარი მამა - წვეტით;
- \*გ) ნისკარტისებური - არათანმხვედრი ლოყებით;
- დ) ხიშტისებური მამა თანმხვედრი ლოყებით.

767. ქვედა ყბის პრემოლარების ამოსაღებ მამას ეწოდება:

- ა) ნისკარტისებური - თანმხვედრი ლოყებით;
- ბ) S-ის მაგვარი მამა - წვეტით;
- \*გ) ნისკარტისებური - არათანმხვედრი ლოყებით;
- დ) ხიშტისებური მამა თანმხვედრი ლოყებით.

768. ქვედა ყბის პირველი და მეორე მოლარების ამოსაღებ მამას ეწოდება:

- ა) ნისკარტისებური - თანმხვედრი ლოყებით;
- ბ) S-ის მაგვარი მამა-წვეტით;
- \*გ) ნისკარტისებური წვეტიანი, არათანმხვედრი ლოყებით;
- დ) ხიშტისებური მამა - თანმხვედრი ლოყებით.

769. ქვედა ყბის მესამე მოლარის ამოსაღებ ინსტრუმენტს ეწოდება:

- ა) პირდაპირი მამა;
- \*ბ) ლეკლუზის ელევატორი;
- გ) S-ის მაგვარი მამა თანმხვედრი ლოყებით;
- დ) S-ის მაგვარი მამა არათანმხვედრი ლოყებით.

770. ქვედა ყბის კბილების ფესვების ამოსაღებ ინსტრუმენტს ეწოდება:

- ა) პირდაპირი მამა;
- ბ) ნემსდამჭერი;
- გ) ნისკარტისებური მამა - წვეტით;
- \*დ) ნისკარტისებური მამა თანმხვედრი ლოყებით;
- ე) S-ის მაგვარი მამა არათანმხვედრი ლოყებით.

771. ქვედა ყბის ფესვების ამოსაღებ ინსტრუმენტს ეწოდება:

- ა) რასპატორი;
- ბ) პირდაპირი მამა;
- \*გ) კუთხისქვეშა ელევატორი;
- დ) ნისკარტისებური მამა - წვეტით;
- ე) S-ის მაგვარი მამა - არათანმხვედრი ლოყებით.

772. დამატებითი ინსტრუმენტი კბილის ფესვის ამოსაღებად ზედა და ქვედა ყბაზე:

- \*ა) ბორმანქანა;
- ბ) პირდაპირი მამა;
- გ) ნემსდამჭერი;
- დ) ლიმბერგის კავი;
- ე) კარაპეტუიანის ელევატორი.

773. დამატებითი ინსტრუმენტი კბილის ფესვების ამოსაღებად ზედა და ქვედა ყბაზე:

- \*ა) სატეხი;
- ბ) პირდაპირი მამა;
- გ) ნემსდამჭერი;
- დ) ლიმბერგის კავი;
- ე) კარაპეტუიანის ელევატორი.

### საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დაავადებები და დაზიანება

774. ქვედა ყბის ამოვარდნილობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს:

- ა) საფეთქელ-ქვედა ყბის ართრიტი;
- ბ) ქვედა მაკროგნათია;
- გ) თანკბილვის სიმალლის შემცირება;
- დ) ღრმა თანკბილვა საჭრელი კბილების მიდამოში;
- \*ე) სასახსრე კაფსულის, აგრეთვე საფეთქელ-ქვედა ყბების სახსრის იოგოვანი აპარატის სისუსტე.

775. ქვედა ყბის ამოვარდნილობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს:

- ა) საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის ართრიტი;
- ბ) ქვედა მაკროგნათია;
- გ) თანკბილვის სიმალლის შემცირება;
- დ) ღრმა თანკბილვა საჭრელი კბილების მიდამოში;
- \*ე) სასახსრე ბორცვის დადაბლება.

776. ქვედა ყბის ამოვარდნილობის სახეები:

- ა) შუა;
- \*ბ) წინა.
- 777. ქვედა ყბის ამოვარდნილობის სახეები:
- \*ა) უკანა;
- ბ) შუა.

778. ქვედა ყბის ამოვარდნილობის სახეები:

- ა) შუა;
- ბ) უკანა;
- გ) წინა;
- დ) შუა-წინა.

\*ბ) ცალმხრივი.

779. ქვედა ყბის ამოვარდნის სახეები:

ა ) შუა;

\*ბ) ორმხრივი.

780. ქვედა ყბის ამოვარდნილობის

წამყვანი ნიშანი:

ა ) ცრემლდენა;

ბ ) თანკბილვის სიმადლის შემცირება;

\*გ) შეუძლებელია თანკბილვის დაყენება

ცენტრალურ ოკლუსიაში;

დ ) ქვედა ყბის მოძრაობის შეზღუდვა.

781. საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის

მწვავე ართრიტის მიზეზს წარმოადგენს:

ა ) აქტინომიკოზი;

\*ბ) მწვავე ტრავმა;

გ ) ყურის ირგვლივ მიდამოს

ჰიპერჰიდროზი;

დ ) საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის

ქრონიკული ტრავმა, ოკლუსიის

ცვლილების შედეგად.

782. საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის

ქრონიკული არასპეციფიკური ართრიტის

მიზეზს წარმოადგენს:

ა ) აქტინომიკოზი;

ბ ) მწვავე ტრავმა;

გ ) ყურის ირგვლივ მიდამოს

ჰიპერჰიდროზი;

\*დ) ს/ქ სახსრის ქრონიკული ტრავმა,

ოკლუსიის ცვლილებების შედეგად.

783. საფეთქელ-ქვედა ყბის მწვავე

არასპეციფიკური ართრიტის მიზეზს

წარმოადგენს:

ა ) აქტინომიკოზი;

\*ბ) რევმატიული შეტევა;

გ ) ყურის ირგვლივ მიდამოს ჰიპერჰიდროზი;

დ ) ს/ქ სახსრის ქრონიკული ტრავმა, ოკლუსიის

ცვლილებების შედეგად.

784. საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის

ქრონიკული არასპეციფიკური ართრიტის

გამწვავეების მიზეზს წარმოადგენს:

ა ) აქტინომიკოზი;

ბ ) ყურისირგვლივი მიდამოს ჰიპერჰიდროზი;

გ ) გარემომცველი ქსოვილებიდან ინფექციის

გავრცელება;

\*დ) საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის

ქრონიკული ტრავმა ოკლუსიის ცვლილებების

შედეგად.

785. საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის

სპეციფიკური ართრიტის მიზეზს წარმოადგენს:

\*ა) აქტინომიკოზი;

ბ ) რევმატიული შეტევები;

გ ) ყურის ირგვლივ მიდამოს ჰიპერჰიდროზი;

დ ) ს/ქ სახსრის ქრონიკული ტრავმა, ოკლუსიის

ცვლილებების შედეგად.

786. საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის

სპეციფიკური ართრიტის მიზეზს წარმოადგენს:

\*ა) ტუბერკულოზი;

ბ ) რევმატიული შეტევები;

გ ) ყურის ირგვლივ მიდამოს ჰიპერჰიდროზი;

დ ) ს/ქ სახსრის ქრონიკული ტრავმა, ოკლუსიის

ცვლილებების შედეგად.

**ყბა-სახის მიდამოს სიმსივნეები და სიმსივნისმაგვარი დაავადებანი**

787. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის

ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების

ძირითად ეტიოლოგიურ ფაქტორს

წარმოადგენს:

ა ) ჰიპერსალივაცია;

ბ ) ნაწილობრივი ადენტია;

გ ) მასიური ნალექი კბილებზე;

\*დ) ლორწოვანი გარსის ქრონიკული ტრავმა;

ე ) კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებანი.

788. ყბა-სახის მიდამოს ათვისებიან

სიმსივნეზე ეჭვის დროს ავადმყოფი

აუცილებელია გაეგზავნოს:

ა ) რაიონის ონკოლოგთან;

ბ ) სპეციალისტ-რადიოლოგთან;

გ ) უბნის თერაპევტთან;

დ ) ზოგადი პროფილის ქირურგთან;

\*ე) სპეციალისტ-სტომატოლოგთან.

789. რადიკულური კისტის რეციდივის მიზეზს

წარმოადგენს:

ა ) ჰემატომა;

ბ ) ოდონტოგენური ინფექცია;

გ ) კისტის ხანგრძლივი არსებობა;

დ ) პოსტოპერაციული ჭრილობის ანთება;

\*ე) კისტის გარსის არასრული მოცილება.

790. ცისტექტომიის ოპერაციისათვის მზადება

მოიცავს დაბუნას:

ა ) მიზეზობრივი კბილის;

ბ ) ყბის ყველა კბილის;

გ ) ანტაგონისტი კბილების;

\*დ) ყველა კბილის, რომლის ფესვებიც

მიმართულია კისტის ღრუში.

791. ცისტოტომიის შემდეგ რადიკულური კისტის

რეციდივის მიზეზს წარმოადგენს:

ა ) ჰემატომა;

ბ ) კისტის ხანგრძლივი არსებობა;

გ ) ჭრილობის პოსტოპერაციული ანთება;

დ ) კისტის გარსის არასრული მოცილება;

\*ე) სატრეპანაციო ხერხლის ადრეული დახურვა.

792. ორეტაპიანი ცისტექტომია ზედა ყბაზე

ტარდება, როცა კისტა დიდი ზომისაა და:

ა ) ჩაიზრდება სუბპერიოსტალურად;

ბ ) ავიწროებს ზედა ყბის წიაღს;

\*გ) არღვევს ცხვირის ღრუს ძელოვან ფსკერს;

დ ) მდებარეობს პრემოლარების არეში.

793. არაოდონტოგენური წარმოშობისაა:

ა ) პაროდონტალური კისტა;

ბ ) რადიკულური კისტა;

გ ) ფოლიკულური კისტა;

\*დ) ცხვირ-სახის არხის კისტა.

794. არაოდონტოგენური წარმოშობისაა კისტა:

ა ) კერატოკისტა;

ბ ) რადიკულური კისტა;

გ ) ფოლიკულური კისტა;

\*დ) დერმოიდული კისტა.

795. არაოდონტოგენური წარმოშობა აქვს კისტას:

\*ა) ცხვირ-ტუჩის;

ბ ) კერატოკისტა;

გ ) რადიკულური კისტა;

დ ) ფოლიკულური.

796. ყბების არაოდონტოგენური კისტების

მკურნალობის ძირითადი მეთოდია:

ა ) ცისტოტომია;

\*ბ) ცისტექტომია;

გ ) კრიოდესტრუქცია;

დ ) ყბის ნაწილობრივი რეზექცია;

ე ) ყბის სანახევრო რეზექცია.

797. წარმოშობით ყბის არაოდონტოგენური



კისტები:

ა ) დაკავშირებულია კბილებთან;

\*ბ) არ არის დაკავშირებული კბილებთან.

**798.** ყბების არაოდონტოგენური კისტების განვითარების მიზეზი დაკავშირებულია დარღვევასთან:

\*ა) ორგანიზმის ემბრიოგენეზის;

ბ ) კბილის ფესვის ფორმირების;

გ ) კბილის ჩანასახის ფორმირების;

დ ) კბილის ფოლიკულის განვითარების.

**799.** ყბის რადიკულური კისტის ოპერაციული მკურნალობის დროს მიზეზობრივ კბილს უტარებენ:

ა ) პემისექციას;

ბ ) არხის დაბჯენას;

გ ) ენდოდენტალურ ელექტროფორეზს;

\*დ) არხის დაბჯენის შემდეგ ფესვის მწვერვალის რეზექციას.

**800.** ფიბროზული ქსოვილის ჭეშმარიტ სიმსივნეებს მიეკუთვნება:

ა ) ეპულისი;

\*ბ) რბილი ფიბრომა;

გ ) ღრძილების ფიბრომატოზი.

**801.** მანგანოტის ქეილიტის კლინიკურ სურათს ახასიათებს:

\*ა) 2-3 ეროზია სისხლდენის და ეპითელიზაციის ტენდენციის გარეშე;

ბ ) ეროზიული ზედაპირი ქვემდებარე ქს-ბის ინფილტრაციით;

გ ) გასქელებული ატროფიული ფოლაქები დაფარული ქერქით, „გეოგრაფიული“ სურათი;

დ ) გარქოვანების შემოსაზღვრული უბანი, დაფარული თხელი, მჭიდროდ ჩამჯდარი ქერცლებით;

ე ) მტკივნეული კვანძი, ხორკლიანი ზედაპირით, ამოზნექილი ეპითელიდან 3-5 მმ-ით.

**802.** ტუჩის წითელი ყაუთნის კიბოსწინარე მდგ-ის მკურნალობის ძირითად მეთოდს წარმოადგენს:

\*ა) ამოკვეთა;

ბ ) მანუალური თერაპია;

გ ) ქიმიოთერაპია;

დ ) კომბინირებული მკურნალობა.

**803.** ტუჩის წითელი ყაუთნის შემოსაზღვრული კიბოსწინარე ჰიპერკერატოზის მკურნალობისძირითად მეთოდს წარმოადგენს:

ა ) ქიმიოთერაპია;

\*ბ) კრიოდესტრუქცია;

გ ) კომბინირებული;

დ ) სხივური თერაპია;

ე ) ამოკვეთა კაფსულისთან ერთად.

**804.** მანგანოტის აბრაზიული პრეკანცერული ქეილიტის მკურნალობის ძირითად მეთოდს შეადგენს:

ა ) ქიმიოთერაპია;

\*ბ) კრიოდესტრუქცია;

გ ) სხივური თერაპია;

დ ) კომბინირებული;

ე ) ამოკვეთა კაფსულისთან ერთად.

**805.** პერიფერიული

გიგანტურუჯრედოვანი გრანულომა ესაა:

ა ) ძვლოვანი სიმსივნე;

ბ ) რბილქსოვილოვანი სიმსივნე;

\*გ) სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნი;

დ ) ჭეშმარიტი ოდონტოგენური სიმსივნე.

**806.** პერიფერიული გიგანტურუჯრედოვანი გრანულომის განვითარების ძირითად ეტიოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს:

ა ) კისტის რეციდივი;

ბ ) მწვავე პულპიტი;

გ ) ყბის მოტეხილობა;

\*დ) ალვეოლური მორჩის ლორწოვანი გარსის ქრ. ტრავმა.

**807.** პერიფერიული

გიგანტურუჯრედოვანი გრანულომის განვითარების ძირითად ეტიოლოგიურ ფაქტორს წარმოადგენს ქრ. ტრავმა:

ა ) ენის;

\*ბ) ღრძილების;

გ ) ყბის;

დ ) ცხვირის ქვედა გასავლის.

**808.** ფიბროზული ეპულისის კლინიკური სურათი ხასიათდება:

ა ) ღრძილის შემოსაზღვრული უბნის გარქოვანებით;

ბ ) ღრძილის ფაშარი, სისხლმდენი წარმონაქმნებით;

\*გ) მკვრივი, უმტკივნეულო წარმონაქმნით განიერ ფუძეზე;

დ ) მკვრივი, მტკივნეული ინფილტრაციით რამდენიმე კბილის არეში;

ე ) ღრძილის 2-3 ეროზიით, სისხლდენის და ეპითელიზაციის ტენდენციის გარეშე.

**809.** ანგიომატოზური ეპულისის კლინიკური სურათი ხასიათდება:

\*ა) ღრძილის შემოსაზღვრული სისხლმდენი წარმონაქმნით ვიწრო ფეხზე;

ბ ) ღრძილის ფაშარი მტკივნეული სისხლმდენი წარმონაქმნით;

გ ) მკვრივი უმტკივნეულო ინფილტრაციით რამდენიმე კბილის არეში;

დ ) ღრძილის 2-3 ეროზიით, სისხლდენისა და ეპითელიზაციის ტენდენციის გარეშე.

**810.** პერიფერიული გიგანტურუჯრედოვანი გრანულომის კლინიკური სურათი ხასიათდება:

ა ) ღრძილის შემოსაზღვრული გარქოვანებული უბნით;

ბ ) ღრძილი ფაშარი, მტკივნეული, სისხლმდენი წარმონაქმნით;

გ ) მკვრივი, უმტკივნეულო ინფილტრაციით რამდენიმე კბილის არეში;

\*დ) რბილი კონსისტენციის მოლურჯო-რუხი ხორკლიანი წარმონაქმნით ღრძილზე ;

ე ) ღრძილის 2-3 ეროზიით, სისხლდენის და ეპითელიზაციის ტენდენციის გარეშე.

**811.** ფიბროზული ეპულისის რენტგენოლოგიური სურათი ხასიათდება:

ა ) ძვლოვანი ცვლილებების არსებობით ეპულისის არეში;

ბ ) ყბის კორტიკალური ფირფიტის რეზორბციით მთელ სიგრძეზე;

\*გ) ეპულისის არეში ძვლოვანი ცვლილებების არქონით;

დ ) ყბის ღრუბლისებური ნივთ-ბის კეროვანი დესტრუქციით მთელ სიგრძეზე;

ე ) ყბის ღრუბლისებური ნივთ-ბის კეროვანი დესტრუქციით მეზობელი კბილების არეში.

812. ფიბროზული ეპულისის მკურნალობის ძირითად მეთოდს შეადგენს:

- ა ) ქიმიოთერაპია;
- ბ ) კრიოდესტრუქცია;
- გ ) სხვიური თერაპია;
- დ ) კომბინირებული;
- \*ე) წარმონაქმნის ამოკვეთა.

813. ამელობლასტომის კლინიკური სურათი ხასიათდება:

- ა ) ყბის ძვლოვანი ქსოვილის მტკივნეული დეფექტით;
- \*ბ) ყბის უმტკივნეულო დეფორმაციით, გამობერილობის სახით;
- გ ) ღრძილის ფაშარი სისხლმდენი მტკივნეული წარმონაქმნით;
- დ ) რამდენიმე კბილის არეში მკვრივი მტკივნეული წარმონაქმნით;
- ე ) ღრძილის 2-3 ეროზია, სისხლდენის და ეპითელიზაციის ტენდენციის გარეშე.

814. ამელობლასტომის რენტგენოლოგიური სურათი ხასიათდება:

- ა ) ძვლოვანი ქს-ის ცვლილებებით დამდნარი შაქრის ტიპით;
- ბ ) ძვლოვანი ქს-ის ცვლილებებით დაზარული მინის ტიპით;
- \*გ) ძვლის დესტრუქციით მრავლობითი კერის სახით;
- დ ) ყბის კორტიკალური ფირფიტის რეზორბციით მთელ სივრცეზე, მკაფიო საზღვრებით, გამოცალკევებული ძვლოვანი ხარისხებით;
- ე ) ყბის ღრუბლისებური ნივთ-ბის დიფუზური დესტრუქციით მთელ სივრცეზე.

815. საბოლოო დიაგნოზი: "ამელობლასტომა" დგინდება შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

- ა ) გამოკითხვა;
- \*ბ) ციტოლოგია;
- გ) სისხლის ანალიზი;
- დ) კლინიკო-რენტგენოლოგიური გამოკვლევა.

816. ამელობლასტომის მკურნალობის ძირითად მეთოდს წარმოადგენს:

- ა ) ცისტექტომია;
  - ბ ) ქიმიოთერაპია;
  - გ ) სხვიური თერაპია;
  - \*დ) ყბის რეზექცია;
  - ე ) წარმონაქმნის გარსის გამოფხეკა.
817. რბილი ოდონტომის მიეკუთვნება ჯგუფს:
- ა ) პრეკანცერული;
  - ბ ) ანთებითი დაავადება;
  - გ ) სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნი;
  - დ ) ავთვისებიანი ოდონტოგენური სიმსივნე;
  - \*ე) კეთილთვისებიანი ოდონტოგენური სიმსივნე.

818. დიაგნოზი რბილი ოდონტომა ისმება შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

- ა ) გამოკითხვა;
- \*ბ) ჰისტოლოგია;
- გ ) სისხლის ანალიზი;
- დ ) კლინიკო-რენტგენოლოგიური გამოკვლევა.

819. რბილი ოდონტომის დიფერენცირება საჭიროა:

- ა ) ჰემანგიომასთან;
- ბ ) პაროდონტიტთან;
- \*გ) ამელობლასტომასთან;
- დ ) პოლიმორფულ ადენომასთან;
- ე ) ყბის ოსტეომიელიტთან.

820. რბილი ოდონტომის დიფერენცირება საჭიროა:

- ა ) ჰემანგიომასთან;
- ბ ) პაროდონტიტთან;
- გ ) პოლიმორფულ ადენომასთან;
- დ ) ყბის ოსტეომიელიტთან;
- \*ე) გიგანტურუჯრედოვან სიმსივნესთან.

821. რბილი ოდონტომის დიფერენცირება საჭიროა:

- \*ა) მიქსომასთან;
- ბ ) პაროდონტიტთან;
- გ ) ჰემანგიომასთან;
- დ ) პოლიმორფულ ადენომასთან;
- ე ) ყბის ოსტეომიელიტთან.

822. რბილი ოდონტომის მკურნალობის ძირითად მეთოდს წარმოადგენს:

- ა ) ცისტექტომია;
- ბ ) ქიმიოთერაპია;
- გ ) სხვიური თერაპია;
- \*დ) ყბის რეზექცია;
- ე ) წარმონაქმნის გარსის ამოფხეკა.

823. ამელობლასტომის თავისებურებაა მისი უნარი:

- \*ა) ინვაზიური ზრდის;
- ბ ) არაინვაზიური ზრდის;
- გ ) შორეულ ლიმფურ კვანძებში მეტასტაზირების;
- დ ) რეგიონალურ ლიმფურ კვანძებში მეტასტაზირების.

824. ოდონტომა მიეკუთვნება დაავადებათა შემდეგ ჯგუფს:

- ა ) ანთებითი დაავადებები;
- ბ ) სიმსივნისმაგვარი წარმონაქმნები;
- გ ) ოდონტოგენური კისტები;
- დ ) ავთვისებიანი ოდონტოგენური სიმსივნეები;
- \*ე) კეთილთვისებიანი ოდონტოგენური სიმსივნეები.

825. შედგენილი ოდონტომის ჰისტოლოგიური შენება ხასიათდება:

- ა ) მაპროლიფერირებული ოდონტოგენური ეპითელით;
- ბ ) სხვადასხვა ხასიათის მინერალიზირებული ცემენტისებრი ქს-ით;
- \*გ) ცალკეული კბილის მაგვარი სტრუქტურებით, რომელიც წარმოადგენს კბილის ყველა ქსოვილს;
- დ ) თხელი ფიბროზული კაფსულით, რომელიც ამოფენილია გარკვენიებული ბრტყელი ეპითელით;
- ე ) გაკირული კბილის ქსოვილით, რომელიც განლაგებულია ქაოსურად და ქმნის ერთიან კონგლომერატს.

826. რთული და შედგენილი ოდონტომის კლინიკური სურათი ხასიათდება:

- ა ) ფისტულეებით კანზე;
- ბ ) ყბის კონტრაქტურით;
- \*გ) უსიმპტომო მიმდინარეობით;
- დ ) მკვრივი, მტკივნეული ინფილტრატით რამდენიმე კბილის არეში;
- ე ) პერიოდული ანთებითი რეაქციებით პერიოსტიტის სახით.

827. რთული და შედგენილი ოდონტომის რენტგენოლოგიური სურათი ხასიათდება:

- ა ) ოდონტომის არეში ძვლოვანი ხარისხების არსებობით;
- \*ბ) კბილის გვირგვინის სიმკვრივის მქონე

შემოსაზღვრული პოპოგენური ჩრდილით;  
გ ) ყბის მთელ სიგრძეზე დრუბლისებური ნივთ-ბის დესტრუქციით.

828. რთული და შედგენილი ოდონტომის ამოკვეთის ძირითად ჩვენებებს

წარმოადგენს:

ა ) დიდი ზომები;

ბ ) შორეული მეტასტაზები;

\*გ) კლინიკური გამოვლინებების არსებობა;

დ ) რეგიონალურ ლიმფურ კვანძებში მეტასტაზები.

829. რთული და შედგენილი ოდონტომის მკურნალობის ძირითად მეთოდს

წარმოადგენს:

ა ) ქიმიოთერაპია;

ბ ) კომბინირებული მკურნალობა;

გ ) ყბის ბლოკ-რეზექცია;

დ ) სიმსივნის ამოფხეკა;

\*ე) წარმონაქმნის ამოკვეთა.

830. გიგანტურუჯრედოვანი სიმსივნე მიეკუთვნება დაავადებათა შემდეგ

ჯგუფს:

\*ა) ჭეშმარიტი სიმსივნეები;

ბ) კბილის ქსოვილის განვითარების მანკები;

გ) ავთვისებიანი ოდონტოგენური სიმსივნეები;

დ) კეთილთვისებიანი ოდონტოგენური სიმსივნეები.

831. გიგანტურუჯრედოვანი სიმსივნის მკურნალობის ძირითად მეთოდად

ითვლება:

ა ) ქიმიოთერაპია;

ბ ) კრიოდესტრუქცია;

გ ) კომბინირებული მკურნალობა;

დ ) სიმსივნის გამოფხეკა;

\*ე) სიმსივნის ამოკვეთა საღი ქს-ის ფარგლებში.

832. დიდი ზომის გიგანტურუჯრედოვანი სიმსივნის მკურნალობის ძირითად მეთოდს

წარმოადგენს:

ა ) ქიმიოთერაპია;

ბ ) კრიოდესტრუქცია;

გ ) კომბინირებული მკურნალობა;

\*დ) ყბის რეზექცია;

ე ) სიმსივნის ამოფხეკა.

833. კაპილარული ჰემანგიომის კლინიკური ნიშნების მსგავსება აღინიშნება:

\*ა) ნეფუსთან;

ბ ) ლიომასთან;

გ ) ფიბრომასთან;

დ ) პაპილომასთან;

ე ) კანის ჰიპერემიასთან.

834. პულსაცია აღინიშნება ყბა-სახის მიდამოს შემდეგი ტიპის ჰემანგიომის დროს:

ა ) კავერნოზული;

ბ ) კაპილარული;

\*გ) არტერიული.

835. სარკომები ვითარდება:

ა ) ეპითელიდან;

ბ ) ჯირკვლოვანი ქსოვილიდან;

\*გ) შემეერთებული ქსოვილიდან.

836. სარკომა ვითარდება:

\*ა) სისხლძარღვებისაგან;

ბ ) ეპითელისაგან;

გ ) ჯირკვლოვანი ქსოვილისაგან.

837. სარკომების მეტასტაზირების უპირატესი

გზა:

ა ) ლიმფოგენური;

\*ბ) ჰემატოგენური.

838. ზედა ყბის სარკომის სიმპტომებად

ითვლება:

\*ა) ეგზოფთალმი;

ბ ) სახის ნერვის ტოტების პარეზი;

გ ) პირის სიმშრალე, შუტევიტი მწვავე

ტიკილი, ყლაპვის გაძნელება;

დ ) ჰიპერსალივაცია, შემცივნება, მუფთისებრი

ინფილტრატი ყბაზე.

839. არჩევენ ენის კიბოს ზრდის ფორმებს:

ა ) დისკოიდური;

\*ბ) ენდოფიტური;

გ ) აქტინიური;

დ ) მულტიცენტრული.

840. ენის კიბოს I სტადიის კლინიკური სურათი

ხასიათდება:

\*ა) პირველადი კერით 1 სმ-მდე, რომელიც

ვრცელდება ლორწოვანი გარსის მთელ

სიღრმეზე;

ბ ) 1,5-2 სმ-მდე წყლულით, რომელიც

ვრცელდება კუნთოვან შრემდე ცალმხრივი

მეტასტაზებით;

გ ) წყლულით, რომელიც ვრცელდება მეზობელ

ორგანოებზე, მრავლობითი რეგიონული და

ცალკეული მეტასტაზებით;

დ ) წყლულით, რომელიც ვრცელდება მეზობელ

ანატომიურ წარმონაქმნებზე მრავლობითი

მეტასტაზებით.

841. ენის კიბოს II სტადიის კლინიკური სურათი

ხასიათდება:

ა ) პირველადი კერით 1 სმ-მდე, რომელიც

ვრცელდება ლორწოვანი გარსის მთელ

სიღრმეზე;

\*ბ) 1,5 სმ-მდე წყლულით, რომელიც

ვრცელდება კუნთოვან შრემდე, ცალმხრივი

მეტასტაზებით;

გ ) წყლულით, რომელიც ვრცელდება მეზობელ

ორგანოებზე, მრავლობითი რეგიონალური და

შორეული მეტასტაზებით;

დ ) წყლულით, რომელიც ვრცელდება მეზობელ

ანატომიურ წარმონაქმნებზე, მრავლობითი

მეტასტაზებით.

